ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 13 (1451) | 7-14 მაისი, 1996 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვისი დაწერილია «დათა თუთაშხია?»

↓

„ეგ რომანი ვინც აქ არის, – საფლავში, იმის დაწერილია, მაგან კი წამოიღო ხელნაწერები! ავტორის დედასთან გარიგება მოახდინა"...

**ეს საინტერესო მასალა იხილეთ ჩვენი გაზეთის მე-3 გვერდზე**



ჭაბუა ამირეჯიბი. გადაღებულია ციმბირში 1958 წელს, გადასახლებაში ყოფნის დროს

## ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

## ჯაბა იოსელიანი

→ მე-3 გვ.




## მამათმავლებს ახალგაზრდა ქართველი იდეოლოგი გამოუჩნდათ?!

→ მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იყო ვინ?

## მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

# თენგიზ კიტოვანი

## გოგა ხაინდრავა: ისიც მრავლისმეტყველია, რომ მოხსნილი კაცი კარგა ხანს ვიცეპრემიერის კაბინეტში იჯდა

**აფხაზეთის კონფლიქტის ყველაზე დრამატულ პერიოდში აფხაზეთში სახელმწიფო მინისტრად დაინიშნა საზოგადოებისათვის ეროვნული მოძრაობიდან კარგად ცნობილი კინოოპერატორი გიორგი (გოგა) ხაინდრავა. ბატონ გოგას, როგორც ამ მოვლენების ორომტრიალში მყოფ პირს, ვთხოვეთ მონაწილეობა მიეღო ჩვენი ჩანაფიქრის ხორცშესხმაში — დავსტამბოთ მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის — რუბრიკით „ვინ იყო ვინ"... რესპონდენტმა ჩვენი რუბრიკის პირველ სტუმარზე თენგიზ კიტოვანზე შემდეგი გვიამბო...**

გამსახურდიადან არიან გამოსულნი თ.კიტოვანიცა და თ.სიგუაც. ისინი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურები არასდროს ყოფილან, კიტოვანის აღზევებამ ჩემში ბევრი კითხვის ნიშანი დასვა. სუფრაზე, ქუჩასა და მეგობრებში შეიძლება კარგი კაცი იყოს, მაგრამ მას ელემენტარული პოლიტიკური განათლება არ ჰქონია, სამხედროზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სამ სიტყვას ვერ აბამს ერთმანეთს. რა თქმა უნდა, გაჭირვებაში მყოფ კაცს, არ მინდა ჩემგან რაიმე დაწოლა ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ ხომ მის პოლიტიკურ ფიგურას ვაფასებთ და არა პიროვნულს? ამ თვალსაზრისით იგი აბსოლუტურად ნული გახლდათ.

თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას რომ სამოქალაქო ომს უწოდებენ, არ არის სწორი, ვინაიდან [illegible] „მრგვალი მაგიდის" შიგნით მომხდარი [illegible] პირისპირებამ გამოიწვია. კარგად მახსოვს ოპოზიცია ძალისმიერი მეთოდებით არ ხელმძღვანელობდა. სამხედრო ძალა მხოლოდ მათ გააჩნდათ. ერთმანეთს მხოლოდ ხელისუფლებისთვის და არა რაიმე პრინციპებისთვის დაერივნენ. ამაშიც რუსების ხელი ერია, ვინაიდან ასე დაუფარავად მათი სპეცსამსახური არსად არ მუშაობდა. კონსულტანტებიც გვერდით ედგნენ. ამის ნათელი მაგალითია კიტოვან-სიგუა-ფიფიას ტანდემი. გენერალი ფიფია სწორად იმ სამსახურის თანამშრომელი იყო, რომელიც დამოუკიდებლობის იდეებს ებრძოდა. იგი აფხაზეთის კონფლიქტის პერიოდში, საქართველოში სპეციალურად გამოჩნდა და მერე სად დაიკარგა, კაცმა არ იცის. იგი პრემიერ-მინისტრის მთავარ მრჩევლად იყო დანიშნული. სხვათაშორის, კიტოვანის, ქობალიასა და ფიფიას ოჩამჩირეს შტაბში შევხვდი. აი, ასეთი ერთგული ძალები იყო ომის დროს გაერთიანებული. მახსოვს კიტოვანის გარშემო მოტრიალე სხვა სამხედრო კონსულტანტებიც, რომლებიც უშიშროების თანამშრომლები იყვნენ და შემდეგ სადღაც გაქრნენ.

— ვფიქრობ ჩვენთვის საინტერესო საკითხს მივადექით. გარკვეულ პერიოდებში თ.კიტოვანზე სხვადასხვა აზრი იქმნებოდა. მას ხან ეროვნულ მოღვაწედ, ხანაც მოღალატედ აცხადებდნენ. რას შეიძლება ეს მიეწეროს? ბოლოს და ბოლოს რომელ მხარეზე იდგა კიტოვანი?

— ჩემი აზრით, კიტოვანი არც ეროვნული მოღვაწე და არც მოღალატე არ ყოფილა. როდის იყო, რომ მას არ ეთამაშოს? სიტყვით და დამოკიდებულებით თი-[illegible]





გოგა ხაინდრავა. ფოტო გადაღებულია ორთაჭალის ციხეში

[illegible] ბდა მენტალიტეტი, რომ საქართველოს ხსნის ერთადერთი გზა რუსეთიდან მოდის. ურუსეთოდ საქართველოს არსებობა შეუძლებელია. მათი ასეთი დამოკიდებულება იმით კი არ არის გაპირობებული, რომ ჩვენზე ნაკლები პატრიოტები არიან, არამედ მათ ასე ჰგონიათ. ისიც მრავლისმეტყველია, რომ მოხსნილი კაცი კარგა ხანს ვიცე-პრემიერის კაბინეტში იჯდა, ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ასეთი ადამიანები ძალაუფლებისთვის იბრძოდნენ. საქართველოსთვის ესეც ტრადიციულია, ვინაიდან ზოგი ჩვენი წინაპარი ისტორიულად ხელისუფლების შესანარჩუნებლად სპარსეთსა და თურქეთში გარბოდა. თავიანთი გავლენის აღსადგენად სამშობლოში ეშმაკსაც შემოიყვანდნენ მოგვიანებით რუსეთში.

— თქვენი აზრით, როგორია კიტოვანის როლი აფხაზეთის ომში?

— ძალიან ცუდი. მე ვიცოდი განკარგულება, რომელიც კიტოვანს მიეცა. იმ ჯარით სოხუმში არ უნდა შესულიყო. მახსოვს, სამი დღის განმავლობაში კიტოვანი ვერავინ იპოვა. სოხუმში ყოფნისა და არძინბასთან ჯარის გაყვანის შესახებ მოლაპარაკების მაგივრად, იგი წყალტუბოში ბრძანდებოდა.

მე იგი აფხაზეთში ერთხელ ვნახე, ისიც ომის დაწყებიდან დაახლოებით ერთი წლის თავზე. პირადად ვეხვეწებოდი ჯარს დავინახე-მეთქი. არსებობდა სხვა კატასტროფული შეცდომებიც, რის გამოც კიტოვანის თავდაცვის მინისტრობა დაუშვებელი იყო, რაც ომის დაწყებიდანვე ნათლად გამომჟღავნდა. ყველაფერი თავის ნებაზე იყო მიშვებული, ბრძანებები არ სრულდებოდა. მოგეხსენებათ, გვარდია მთელს მსოფლიოში შეიარაღებული ძალების ელიტარული ნაწილია. განა შეიძლებოდა ჯარის პირდაპირ გვარდიით ჩამოყალიბება? რომელ ნაღებზე შეიძლება ლაპარაკი, თუ რძე არ არის? ის ჯარი, ნაღები კი არა ნაგავი იყო, რომელშიც თავი მოიყარეს ცხოვრებაში საკუთარ ადგილს მოუგნებელმა ადამიანებმა. ამიტომაც აბსოლუტურად უგულვებელყოფილი იყო პროფესიონალიზმი.

ეს თემა ორი სიტყვით რომ მოვამთავროთ, უნდა ვთქვა — საუბედუროდ, საქართველოსთვის გადამწყვეტ ჟამს, თავდაცვის მინისტრის უმნიშვნელოვანესი ფიგურა პირადი შესაძლებლობებით, აბსოლუტურად უსუსური აღმოჩნდა.

# ჯაბა იოსელიანი

## ნოდარ ნათაძე: მორიგი ძმათა სისხლისმღვრელი ლაშქრობის წინ მე ორჯერ ველაპარაკე მხედრიონის წევრებს



**— თქვენი აზრი ჯაბა იოსელიანის როლზე.**

— მე მგონია, თქვენი კითხვა ეხება არა პიროვნებას, არამედ მხოლოდ მხედრიონს, როგორც მოვლენას.

**— ეს საკითხი უფრო მნიშვნელოვანია, ცხადია...**

— მხედრიონს თავისი ისტორია აქვს ჯერ კიდევ ძველი კომუნისტების მმართველობის ბოლო წელიწადნახევარში. ცნობილი იყო (თუმცა არა სულ თავიდანვე), რომ ამ ორგანიზაციას ფინანსურად მხარს უჭერს აგრომრეწვის თავმჯდომარე გურამ მგელაძე. როგორც იმ დროს ითვლებოდა, მხოლოდ ერთ გაცემაზე ამ ორგანიზაციას 14 მილიონი მაშინდელი (1989) თუ (1990 წ.) მანეთი მიეცა. რეგისტრაციაში ეს ორგანიზაცია გაატარეს, ანუ იგი დააკანონეს იმ ძველი კომუნისტების მმართველობის ბოლო თვეებში ან სულაც ბოლო კვირებში, ანუ იგი მემკვიდრეობად დაუტოვეს ეროვნულ ხელისუფლებას, რომელიც არჩევნების შედეგად უნდა მოსულიყო. მანამდე წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე ცნობილი იყო მხედრიონის მოქმედება მოსახლეობის დასაცავად ეთნოკონფლიქტების დროს ჯერ აფხაზეთში, მერე სამაჩაბლოში. ეს მოქმედება უდავოდ პოპულარობით სარგებლობდა.

**— მაშ თქვენ, ლოგიკურად, იმ საქმიანობისთვის პირწმინდად დადებითად უნდა შეგვეხედათ?**

— არა, ამას ვერ ვიტყვი. ჯერ ერთი, იმ დროს უკვე იყო ძალმომრეობის ძალიან საშიში ფაქტები — საშიში სიმპტომები იმისა, რაც განვითარებას იწყებდა. გახსოვთ, ალბათ, გლდანის ეპიზოდი, რომელიც ტელეეკრანზეც გამოჩნდა გაკვრით. დგანან ავტომატიანი მხედრიონელები, დგანან ავტომატიანი მილიციელები, დგას დაზარალებული მოსახლეობა და „არჩევენ" საქმეს შუა მაგისტრალზე, ეს მაშინ, როცა მილიციას ჯერ კიდევ კონტროლის ძალა აქვს! მეორეც, არ მახსოვს, რომელი თვე იყო, მაგრამ ეს იყო 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებზე ადრე — უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ქართველ ოფიცერთა კორპუსის კრებაზე გამოვიდა ჯაბა იოსელიანი და ამტკიცებდა, რომ საქართველოს რეგულარული არმია არ სჭირდება. მე ეს ძალიან ცუდად მენიშნა და გამოვედი კიდეც კათედრაზე სადისკუსიოდ. ამავე თეზისით კიდევ ერთხელ მოვისმინე მისი გამოსვლა დეკემბერ-იანვრის გადატრიალებიდან ერთი-ორი თვის შემდეგ. მესამეც, ჰქონდა „კურსი" ყველა მებრძოლი ორგანიზაციის მოქცევისა მხედრიონის სისტემაში, რაც, რა თქმა უნდა, დაუშვებელი იყო. ეს ის დრო იყო (ისევ კომუნისტების ხანაში), როცა მხედრიონს ფართო წვრთნა ჰქონდა გაშლილი, ტყვია-წამლის იმ დროისათვის ფართო ხარჯით. მე კატეგორიულად წინააღმდეგი წავედი. საუბარი საკმარისად კონფლიქტური იყო. ისინი, ვისაც ეს საუბარი ეხებოდა, მხედრიონს არ შეუერთდნენ. იმ დროიდან ერთი ძალიან მძიმე ეპიზოდი შემიძლია დავასახელო. ეს იყო სროლა მაჩაბლის ქუჩაზე, რომელსაც ყოფილი მხედრიონელების ძალიან სავალალო მსხვერპლი მოჰყვა. ამ ინციდენტის მექანიზმი ჩემთვის და, საერთოდ, საზოგადოებისათვის — დღესაც საიდუმლოა.

**— როგორ დაახასიათებდით მხედრიონის მოქმედებას ზ.გამსახურდიას მმართველობის დროს?**

— მხედრიონის წევრთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ფაქტები, მოსახლეობის საზარალოდ, მაშინ უფრო გამრავლდა. იყო ამაზე ლაპარაკი უზენაეს საბჭოშიც. ერთხელ დეპუტატ ე.შენგელაიას დაევალა კახეთში წასვლა მხედრიონელებთან მოლაპარაკებისათვის. ამ დროიდან სამ ეპიზოდს გამოვარჩევ. ერთი იყო მხედრიონის შიმშილობა ოპერის ბაღში, რომელსაც ხალხი ირონიულად „შეიარაღებულ შიმშილობას" უწოდებდა. მეორე იყო მილიციის მიერ ალყის შემორტყმა მხედრიონის შტაბბინისათვის ჰადრაკის სასახლეში მთელი უბნითურთ: კოსტავას ქუჩა — გმირთა მოედანი — სანაპირო — ვერის აღმართი — ქიაჩელის და ნიკოლაძის ქუჩა. იმ დროს უკვე რამდენიმე მხედრიონელი დაპატიმრებული იყო. მხედრიონელები, ვინც ჰადრაკის სასახლეში იყვნენ და მის გარშემო, ძალიან ღელავდნენ.

შესაძლებელი იყო, მილიციას იარაღით მოქმედება დაეწყო ამ მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ჯგუფის მიმართ. შესაძლებელი იყო, პირიქით, მხედრიონელებს მთავრობის სასახლისკენ იარაღით გასვლა ეცადათ. მდგომარეობა ძალიან სახიფათო იყო, სახიფათოდ დამუხტული. როგორც დეპუტატი, მე მივედი შემთხვევის ადგილზე და შემდეგ ვალერი ვაშაკიძეს მივყევი პარლამენტის იმ დროს თავმჯდომარის მოადგილესთან კაკო ასათიანთან (მგონი, იგი ამ დროს მოადგილე იყო. ზვიად გამსახურდია ჯერ პრეზიდენტი არ იყო). „მხარეებმა" მოილაპარაკეს. მე მგონი, ამით ხელი შეეწყო იმას, რომ ეპიზოდი იმჯერად მშვიდად ჩამთავრდა. მე ვიცი, კითხვა დაისმის: განა ნორმალური არ არის, მილიციამ უკანონო შეიარაღებული ფორმირების მიმართ ძალა იხმაროს, რაც უნდა დიდი იყოს ეს ფორმირება? დიახ, ასეა. მაგრამ იმ დროს ფსიქოლოგიური ამინდი სხვა იყო. ის ბიჭები თავისი ჩანაფიქრით და ზრახვით ბანდა არ იყვნენ. იმ დროს ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო ყველაფერი უსისხლოდ მოგვარებულიყო.

მესამე ეპიზოდი. 1991 წლის იანვარში თუ თებერვალში შავნაბადაზე მხედრიონელების ბანაკში დატოვებულ პატარა ჯგუფს თავს დაესხა საბჭოთა არმიის რეგულარული ნაწილი — როგორც ამბობდნენ, ნიღბიანი ქართველების თანხლებით. ვითომ გზად მოდიოდა კოლონა და დაინახა შავნაბადაში სამხედრო ტექნიკა, თუმცა გზიდან ის ადგილი არ ჩანს. ერთ-ორ მხედრიონელს ოჯახი თან ჰყავდა. ის ქალებიც ხევ-ხუვებში ემალებოდნენ ტყვიამფრქვევების ცეცხლს.

**— როგორ დაახასიათებთ მხედრიონის მოქმედებას გადატრიალების შემდეგ?**

— დანაშაულებრივად. გადატრიალების დროსაც და მის შემდეგაც, შევარდნაძის ჩამოსვლამდეც და მას შემდეგაც. იმათ, ვინც 6 იანვრიდან შევარდნაძის ჩამოსვლამდე საქართველოს მართავდა, ვერ ექნებოდათ და, მე მგონი, არც ჰქონდათ პრეტენზია რაიმე სახელმწიფო-სამართლებრივი ნორმების ცოდნისა. მაგრამ შევარდნაძეს კი სახელმწიფო გამოცდილება ჰქონდა. და ეს ნორმები მოეხსენებოდა. მან შეიარაღებული ადამიანები, რომელნიც არც არმიაში იყვნენ რიცხულნი, არც პოლიციაში, არც შინაგან ჯარებში, საერთოდ არსად. — მე მხედველობაში მყავს მხედრიონი — გამოიყენა საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ ომში და უფლება მისცა მათ, ადამიანებისთვის ესროლათ. დიახ, საქართველოს მოქალაქეებისათვის ასროლინა იმათ, ვისაც არც წესდებები ჰქონდა, არც წოდებები, არც იერარქია, არც უნიფორმა — საერთოდ არაფერი, გარდა იარაღისა და სროლის უფლებისა. ამით მან, ჯერ ერთი, საკუთარი ქვეყნის ეს მოქალაქეები დააყენა არა მოქალაქეთა მდგომარეობაში (თუნდაც დამნაშავე მოქალაქეთა მდგომარეობაში), არამედ სახელმწიფოს გარეთ, მეორეც, მან ამით პრინციპულად უარყო საქართველოს არმიის, როგორც ორგანიზებული და კანონიერი შეიარაღებული ძალის, შექმნის ამოცანა, მან ამით სახელმწიფოებრიობა ძირში მოკვეთა. ომში, რომელშიც არმიასთან ერთად სახელმწიფოსადმი დაუქვემდებარებელი და არაკონტროლირებადი რაზმი იბრძვის, ვერ მოიგება. ჩვენი დამარცხების თა ძირი ამ დანაშაულებრივ გადაწყვეტილებაში ძევს.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ მხედრიონის მოქმედება, ერთის მხრივ, და მის წევრთა დიდი ნაწილის სულისკვეთება, მეორეს მხრივ, ყოველთვის ერთი და იგივე არ იყო. მორიგი ძმათა სისხლისმღვრელი ლაშქრობის წინ მე ორჯერ ველაპარაკე მხედრიონის წევრებს: ერთხელ ბაღში ჰადრაკის სასახლესთან, ერთხელაც — პარლამენტის შენობაში ჯ.იოსელიანის მაშინდელი რეზიდენციის წინ, სადაც ომში წამსვლელებს შეშფოთებული დედებიც და დებიც ახლდნენ. მათ არ უნდოდათ წასვლა. მეც გამოკვეთილად ვუთხარი ჩემი აზრი, არ უნდა წახვიდეთ, მეთქი. მაინც წავიდნენ: იძულების გარკვეულ მექანიზმი იმ დროს უკვე აწყობილი იყო.

მხედრიონის და მისი მეთაურის ფუნქცია შევარდნაძის მმართველობის სისტემაში ჩემი შეფასებითაც და საერთოდ საზოგადოების შეფასებით ორმაგი იყო: პირველი: პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დათრგუნვა კანონისმიერი კონტროლის გარეშე. მეორე: მოსახლეობის დაშინება დესტაბილიზაციით („მე თუ არ ვიქნები სათავეში, აგერ, ვინ მოვაო".) თუმცა ცნობილი იყო, რომ მხედრიონის აღზევებას შევარდნაძეს დიდ მინუსად ეთვლება და მსოფლიოს თვალში, ჩახედული ადამიანები მაინც ფიქრობდნენ, რომ იგი მხედრიონის წინააღმდეგ ოპერაციას განახორციელებს. მხოლოდ მაშინ, როცა არჩევნებამდე ერთი თვეღა დარჩება. ეს პროგნოზი თითქმის გამართლდა. მხედრიონის მიმართ მოქმედება დაიწყო არჩევნებამდე ორი თვით ადრე.

დღეს ზოგი ფიქრობს, რომ მხედრიონის ისტორია დამთავრებულია, ზოგი — რომ იგი მხოლოდ შეჩერებულია. მეორე თვალსაზრისი მე უფრო ლოგიკურად მესახება. ზემოხსენებული ორი ამოცანა აგონიაში მყოფი [illegible] წინაშე ახლაც დგას და იდგება მანამდე, სანამ ისინი არსებობენ.

ინტერვიუ

## ჯაბუა ამირეჯიბი:

# ეს ჭორი კი ასე წარმოიშვა...

"დათა თუთაშხიას" დარი ნაწარმოებები იშვიათად იქმნება. ამ რომანმა 70-იან წლებში ქართული ლიტერატურული ცხოვრება შესძრა. მის ავტორს, მრავალჭირგადანახად ჭაბუა ამირეჯიბს, მეგობრები დიდ გამარჯვებას ულოცავდნენ, მაგრამ თბილისში და შემდეგ მთელს საქართველოში ჭორიც აგორდა, რომანი სხვისი დაწერილიაო. ეს ჭორი სერიოზულად გავრცელდა, რასაც ხელი იმანაც შეუწყო, რომ თითქმის 25 წლის განმავლობაში ბატონ ჭაბუას პროზაში თითქმის აღარაფერი გამოუქვეყნებია, (დღეს უკვე ხელთა გვაქვს მისი ახალი რომანი „გორა მბორგალი") შესაძლოა სხვა გარემოებებმაც განაპირობეს ამ ჭორის აგორება.

გადავწყვიტეთ, შთამომავლობას საორჭოფოდ რომ არ დარჩეს ეს საკითხი, თავად პირველწყაროსთან, ჭაბუა ამირეჯიბთან მორიდებული კითხვით გაგვერკვია, საიდან მოდის ეს ხმები.



## საერთო ჯამში ოთხმოცდასამი წელი მქონდა მოსჯილი. პროკურორმა ჩემი დახვრეტაც მოითხოვა.

**— რაზე დაგაპატიმრეს პირველად. რამდენი წლის იყავით მაშინ და, საერთოდ, გვიამბეთ თქვენი წარსულის შესახებ.**

— დავამთავრე ამიერკავკასიის ელექტროტექნიკუმი რადიოგანყოფილების განხრით. იგი გასამხედროებული იყო და რადიოსაქმეს მისადაგებული. წვრთნას ავჭალაში გავდიოდით. ომი რომ დაიწყო, უნივერსიტეტის მეორე კურსზე ვიყავი, იურიდიულ ფაკულტეტზე. მინდოდა მამის პროფესია გამეგრძელებინა, მაგრამ შემდეგ ფილოლოგიის ფაკულტეტზე გადავედი, რადგანაც ლექსებს უკვე ვწერდი. იურისტი რომ ვყოფილიყავი, ციხესაც ავცდებოდი. გამიწვიეს ომში 1941 წელს. 1943 წლის 16 აგვისტომდე ვიმსახურე. შემდეგ გამომიძებნეს მშობლების რეპრესირება, საზღვარგარეთ ნათესავების არსებობა და დამაბრუნეს უკან ასეთი ფორმულირებით: განთავისუფლდეს სამხედრო სამსახურიდან როგორც არასწორად გაწვეული. გავაგრძელე სწავლა. მაშინ საქართველოს ბევრ რაიონში იყვნენ ახალგაზრდები, რომლებმაც თავი აარიდეს სამხედრო სამსახურს. ზოგი საერთოდ წავიდა, ზოგი დეზერტირი იყო და წარმოიშვა ასეთი იდეა: შეეკრიბათ ეს ხალხი მებრძოლ პატრიოტულ რაზმებად. ამ პერიოდში იყო ასეთი კაცი, მუსტაფა შელია, არალეგალური მუშაობისათვის დაბადებული, გულადი, ლამაზი, ჭკვიანი, განათლებული, ჩინებული კონსპირატორი და ორგანიზატორი. იგი შეეცადა, შეეკრიბა ეს ხალხი „თეთრი გიორგის" კომიტეტის დავალებით და შექმნა რამდენიმე ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაცია. შეგვკრიბეს 20 კაცი. მიზანი იდეოლოგიური მუშაობა და შეიარაღება იყო. რა თქმა უნდა, ეს ორგანიზაცია გაუვნებელყვეს და დაარქვეს „ანტისავეტსკაია პოვსტანჩესკაია ორგანიზაცია". შევეცდები, გავიხსენო ამ ოცი კაცის გვარი: აწ განსვენებულები ამირან მორჩილაძე, ვახტანგ ჯორჯაძე, რევაზ ტყავაძე, გოგი წულუკიძე, ქორა იმხნელი, შალვა სვანიძე, ლევან აბდუშელიშვილი და რომან სუტა, პავლე ხარანაული, გოგი მაჭავარიანი. ცოცხლები ვართ მე, ლუკა ტყემალაძე და არჩილ წულუკიძე. გაგვასამართლეს 7-12 აპრილამდე 1944 წელს. მე, პავლე ხარანაულს, მოგვისაჯეს 25-25 წელი, შალვა სვანიძეს, ლევან აბდუშელიშვილს, რომან სუტას (ლატვიელი მხატვარი) მიესაჯათ დახვრეტა. გოგი მაჭავარიანს 20 წელი, დანარჩენებს 10-დან 15 წლამდე. საქართველოს პროკურორმა ჩემი დახვრეტაც მოითხოვა. ვიჯექი სამი თვე სიკვდილმისჯილთა კამერაში. სსრკ პროკურატურამ არ დააკმაყოფილა საქართველოს სპეცპროკურორის პროტესტი და დამიტოვეს 25 წელი. ასე დაიწყო ჩემი საბანაკო ოდისეა. გაქცევისათვის ბევრჯერ გამასამართლეს. ასე მოვაგროვე 83 წელი და ერთი დახვრეტაც.

## მე მწამებს ცილს კაცი, რომელმაც ეს საქმე გასცა

**— 1961 წელს, თუ არ ვცდები, საქართველოში ჩამოდიოდა ხრუშჩოვი. თითქოს ყოფილა რაღაც შეთქმულება და აფეთქებაც უცდიათ. ეს განზრახვა შეიტყვეს და ყველანი დააპატიმრეს. გამსახურდიას ხელისუფლების დროს, როცა თქვენზე ათასი ცილისწამება იბეჭდებოდა, ისიც დაგწამეს, რომ თითქოს ამ ამბავში უარყოფითი კუთხით იყავით გარეული. თქვენზე შთამომავლობამ ყველაფერი უნდა იცოდეს. გვაპატიეთ ამ პირდაპირი კითხვისათვის, მაგრამ სასურველია თქვენივე პასუხის მოსმენა.**

— მე მწამებს ცილს კაცი, რომელმაც ეს საქმე გასცა თავის დაცვის მიზნით. ამის შესახებ დიდი ხანი არ არის გამოვაქვეყნე წერილი „ლიტერატურულ საქართველოში". ამაზე ლაპარაკი არ ღირს. მართალია, ხალხი დაიჭირეს, მაგრამ იმ საქმეში არაფერშუაში ვიყავი.

**— პირადი მტრები თუ გყავთ?**

— მე მგონია, რომ არა, ერთი კაცის გარდა, რომელმაც „ზვიადისტების" გაზეთში გამოაქვეყნა ზემოხსენებულ საქმეზე წერილი, სრული სისულელე. მე უბრალოდ გამოვაქვეყნე ნაწყვეტი ჩემი ახალი რომანიდან, რომელიც დაბეჭდვისას მასში აღარ შემიტანია. დავინდე ეს კაცი, დამენანა დამესვარა. სულ ოთხნი იყვნენ. ერთი ისრაელში, ერთი გარდაიცვალა, ერთი საერთოდ მიიმალა, გაქრა მხედველობიდან, მას უნდა გაეკეთებინა ბომბი, ერთიც აქ არის, თბილისში.

**— ჩვენ არა, მაგრამ ზოგს ეპარება ეჭვი. დღეს საუბრობენ იმის შესახებ, რომ „დათა თუთაშხიას" ავტორი არის ვილაც სხვა, რომელმაც ეს რომანი გადასახლებაში დაწერა და თქვენ იქიდან წამოიღეთ. არის სხვა ვერსია — თითქოს რომანი 10-იანი და 20-იანი წლების გამოჩენილ პოეტს შალვა ამირეჯიბს ეკუთვნის, ასახელებენ ვილაც გენერალსაც (გვარი არ მაგონდება). ერთი სიტყვით, ეს რომანი თქვენს გარდა ყველასია. ღვთის გულისათვის, გვითხარით იმ კაცის გვარი და სახელი, ასეთ, საუკუნის რომანს რომ წერს და მერე თქვენ გჩუქნით.**

— ვისაც მსგავსი რამ დააბრალეს, ყველას გამოუჩნდა კონკრეტული მოცილე. მე არ გამომიჩნდა. მაქვს უამრავი ხელნაწერი. მის გამოფენას მე ვერ მოვაწყობ და არცაა საჭირო. თავის მართლებაც ამ შემთხვევაში სისულელედ მიმაჩნია. ეს ჭორი კი ასე წარმოიშვა: ზაურ ბოლქვაძესთან სუფრაზე, სადაც თითქმის ყველა სამოციანელი მწერალი იყო, ერთმა მწერალმა ხუმრობით გვიამბო ასეთი რამ: ვითომ მწერალთა დელეგაციასთან ერთად ბამზე ყოფილა. სასადილოში შესულს ბუშლატიანი ნაკატორღალები უნახავს. მათთან საუბარში ჭაბუა ამირეჯიბი უხსენებია. ვიცნობდითო, უთქვამთ ვითომ მათ, კატორღელი იყოო, აქ არის მისი საფლავიო. როგორო, შეუცხადებია ამას, კაცი იქ არის, მწერალია, საფლავი აქ როგორ იქნებაო. გაიცინეს ვითომ ბუშლატიანებმა, ეგ რომანი, ვინც აქ არის, საფლავში, იმის დაწერილია, მაგან წამოიღო ხელნაწერები, ავტორის დედასთან გარიგება მოახდინა, ვითომ შენი შვილი ვარო. ასე დაიბადა თქვენი ჭაბუა ამირეჯიბიო. იცინა და აცინა თანამეინახენი. ეს ყველაფერი ხუმრობით იყო ნათქვამი. მე ხუმრობითვე ვუპასუხე: შენ კიდევ ხუთ წიგნს დაწერ და არავინ იტყვის, რომ შენი დაწერილი არ არის. ამ უბოროტო ხუმრობით დაიძრა ეს ჭორი. შემდეგ გამსახურდიამ და მისმა ხალხმა დაიხვიეს ხელზე.

**— წლების გადმოსახედიდან რომ გადახედავთ თქვენს ცხოვრებას, წამოგცდენიათ თუ არა: „ვა, სოფელო..."**

— ეგ სიტყვა ყველას შეუძლია თქვას. მე ყოველთვის ოპტიმისტი ვიყავი, არასოდეს დამიჩივლია ჩემი ბედის გამო. მე რწმენამ გადამარჩინა. ვისაც რწმენა დაეკარგა, ის დაიღუპა.

**— ყველა ადამიანს აქვს ცხოვრებაში მომენტი, როცა თავის თავთან ჭიდილი უწევს. ალბათ, თქვენც გქონიათ მსგავსი რამ. თუ საიდუმლო არ არის, რის გამო და როდის?**

— ეს ცხოვრება საკუთარ თავთან ჭიდილია. თუ გინდა, რამე გააკეთო, სულ უნდა ებრძოლო შენს თავს, რაც შეიძლება მეტად გამოიყენო შენი შესაძლებლობები. ასე ვცხოვრობდი მე. თავთან ჭიდილი არაფერია ცხოვრებასთან ჭიდილთან შედარებით.

**— ყველაზე უკეთ თქვენს თავს თქვენვე იცნობთ, თუ გიცდიათ ოდესმე „წყლიდან მშრალი" ამოსულიყავით?**

— ასეთი სიტუაციები, ალბათ, ყველას აქვს. ადამიანი მოქმედებს იმ ზნეობრივი საფუძვლების მიხედვით, რაც ჩამოყალიბდა ოჯახში და ცხოვრების პროცესში. მე ისეთ ოჯახში გავიზარდე, რომ ზნეობრიობა ყველაზე დიდ განძად მიიჩნეოდა. შენი ცხოვრების საკეთილდღეოდ არ უნდა გაწირო კაცმა ახლობელი.

**— თქვენი დათა თუთაშხია ამბობს: „ვისაც ჩავაცვი, მან გამხადა სწორედ, მე თუ არა, სხვას გახადა მაინც". თქვენ რა პრინციპით ცხოვრობთ?**

ადამიანმა უნდა მოიხადოს თავისი ვალი, რაც შეიძლება, მეტი სიკეთე აკეთოს და მის შედეგს არ დაელოდოს. ცხოვრების გზაზე შეგხვდება ვინმე, ვისაც სჭირდება დახმარება და უნდა დაეხმარო. იყო ჩემს ცხოვრებაში შემთხვევები, როცა როგორც შემეძლო, ისე დავხმარებივარ ადამიანს. შემეძლო და იმიტომ, ახლა რაც შემიძლია, იმას ვაკეთებ, თუ ვინმე მომმართავს. როცა რაიმე ცუდი შემემთხვევა, ჩემს თავში ვეძებ მიზეზს. იქნებ ცუდად ვიცხოვრე? ბოროტება ისეთი რამეა, აუცილებლად წინ დაგხვდება. სიკეთე კი შეიძლება არ დაგხვდეს. ცუდი საქმე შვილებს და შვილისშვილებსაც კი მისწვდება.

**— თქვენი ვაჟი გმირულად შეეწირა სამშობლოს. იმ წყეულ ომში ბევრი ჭაბუკი დაიღუპა. ვიძიოთ თუ არა შური?**

— შურისძიება არ არის გონივრული ნაბიჯი. შეიძლება იმ დროისათვის, როცა ვენდეტა არსებობდა, იგი გამართლებული იყო, მაგრამ დღეს შურისძიებას შურისძიება მოსდევს. სადაც ერთი ბოროტებაა ჩადენილი, იქ ხუთი ბოროტება იზრდება. ჩვენ ცივილიზირებული ერი ვართ და შურისძიებაზე არ უნდა ვილაპარაკოთ. აფხაზებმა და ქართველებმა ერთურთზე გაიწიეს და ერთმანეთი დახოცეს. ეს ძალიან ძნელი პრობლემაა, მაგრამ მაინც უნდა მოიძებნოს საერთო ენა. შურისძიებას კარგი არაფერი მოაქვს.

**— როგორი ქალია თქვენი იდეალი?**

— არასოდეს მიმიქცევია ქალის გარეგნობისათვის ყურადღება. მე ცხოვრების მანძილზე ჩემი წარმოდგენა მქონდა ქალზე, ამიტომ იდეალი ჩემთვის სულ სხვაა. ქალი ის ფენომენია, რომელიც აგრძელებს კაცობრიობის არსებობას. ეს არის ქალის მთავარი როლი და ფუნქცია. ქალს მე ბევრს ვაპატიებ. ნაყოფი, რომელსაც ქალი მკერდქვეშ ატარებს, ახალი სიცოცხლეა და ეს აცოცხლებს კაცობრიობას. უნდა ითქვას ისიც, რომ იგი რაღაც ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული, რაღაცით უნდა იყოს შეზღუდული, ამისთვისაა კაცი საჭირო. ნაყოფი უნდა გაიზარდოს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს და კიდევ ამისთვისაა მამაკაცი საჭირო.

**— რას ეტყოდით შთამომავლობას?**

— რაც უნდა დარჩეს შთამომავლობას, ყველაფერი ვთქვი ჩემი ნაშრომებით. მთავარი მაინც, ალბათ, ეს იქნება: რაც შეიძლება მეტი სიკეთე აკეთო, გაიარო და არ ელოდო, რომ წინ დაგხვდება. გააგრძელე გზა და სხვა სიკეთე ქენი. ის სიკეთეები შენ დაგხვდება და შენ თუ არა, შენს მოყვასს.

ესაუბრა
ანა ჯულელი

# ლტოლვილებს ფულს პარავენ

**აფხაზეთის** ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ სამეგრელოს სამხარეო პროკურატურასთან შეთანხმებით მიმდინარე წელს ჩაატარა შემოწმება წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში 1994-1995 წლებში იძულებით გადაადგილებულ პირებზე ფულადი და სხვა სახის მატერიალური დახმარების მიღება-გაცემის კანონიერების საკითხებზე. ამ რაიონების ზოგიერთ სოფლებში გამოვლენილია იძულებით გადაადგილებულ პირებზე გამოყოფილი ფულადი დახმარების მითვისების ფაქტები, უწყისებისა და სხვა საბანკო დოკუმენტების გაყალბების გზით, უწყისებში იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელოვნურად გაზრდით და სხვა ხერხების გამოყენებით. კერძოდ, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალეში გამგეობის თავმჯდომარე კ.შონიას და მოლარე ე.უბილავას მიერ 1995 წლის აპრილ-ნოემბერში ზემოთაღნიშნული ხერხით მითვისებულია 8000 ლარზე მეტი ოდენობის თანხა. მოცემულთან და კავშირებით დღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის $96^1$ პრიმა მუხლით სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების ფაქტზე. გამოძიების ჩატარება დაევალა გალის რაიონის პროკურატურას. საქმეზე წინასწარი გამოძიების მიმდინარეობა აყვანილია კონტროლზე.

კანონიერების დარღვევის უხეში ფაქტები გამოვლენილია ჩხოროწყუს რაიონში, რასაც მიეცემა მკაცრი სამართლებრივი შეფასება. როგორც შემოწმების ანალიზმა გვიჩვენა, მსგავსი სამართალდარღვევები გავრცელებულია სამეგრელო-სვანეთის სხვა ქალაქებსა და რაიონებში, რაზეც ჩატარებული იქნება სათანადო შემოწმებები სამხარეო პროკურატურასთან მჭიდრო კავშირში კონკრეტული დამნაშავე პირების გამოსავლენად და მათი პასუხისგებაში მისაცემად.

საქართველოს
პროკურატურის
პრესცენტრი

# «გარბიხართ, ხომ შევარდნაქისტებო, და ავტომატის ჯერი მოუშვა»...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დევნილის დღიური

გაგრძელება. დას. №12

### 29 სექტემბერი

ღის ორ საათზე ძლივს მოვახერხე მანქანის ამუშავება. ქართველობამ უკვე დატოვა სოფელი. გზაც თითქმის დაიცალა, არავინ არ მოდის ქვემოდან. მეზობელი სოფელი მერხეული უკვე მტრის ხელშია. ყოველ წუთს მოსალოდნელია მათი შემოსვლა წებელდაში. არა მგონია სახელდახელოდ შეკრებილმა 200-მდე მებრძოლმა შეაჩეროს კბილებამდე შეიარაღებული სეპარატისტები. მანქანის ასამუშავებლად დახმარება ვთხოვე სომეხ მეზობლებს, უარი განმიცხადა ყველამ. სახეზე აშკარად ეტყობათ სიხარული, მაგრამ ვერაფერს ბედავენ, სოფელი ხომ ჯერ ქართველების ხელშია. უკვე საღამოა. გავიარეთ მხოლოდ 15 კმ. გზაზე „საცობებია". ისეთ „საცობს" მივადექით, რომელიც, ეტყობა, დილხანს არ გაიხსნება, არადა გიორგი ტირის, ის ხომ მხოლოდ 1 წლის და 4 თვისაა. ცოლი და შვილები ფეხით გავისტუმრე სოფ. ლათაში, მე კი მანქანაში დავრჩი. როგორც იქნა გზა გაიხსნა, მაგრამ მანქანა კვლავ ვერ ავამუშავე, მოტორი გაციება და საქარია სულ ბენზინი 100 გ მაინც, რომ კარბურატორში ჩავასხა და მანქანა ავამუშაო, მაგრამ არავინ იძლევა. ღამეა, გზაზე არავინაა. უეცრად ტანკების ხმა მომესმა, სულ უფრო ახლოვდებიან. ვიცი ეს მტერი არ არის, ღამე ამ კლდოვან გზაზე შეტევაზე გადმოსვლას ვერ გაბედავენ. ე.ი. წებელდაში განლაგებულმა რაზმმა სოფელი დატოვა. გაიარეს გაუჩერებლივ, თუმცა ვანიშნებდი დამხმარებოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, გამოიარა „ჟიგულმა" და გამიჩერა. მკითხა, რით შეძლებდა დახმარებას. ავუხსენი ჩემი მდგომარეობა. დამეხმარა ღვთისნიერი კაცი და ღამის ორ საათზე ცოლ-შვილამდე მივაღწიე. დღეს მთელი დღე მხოლოდ 30 კმ. გავიარე.

### 30 სექტემბერი

ღამე ცოლ-შვილი ნათესავებთან იყო, მე მანქანაში, რადგან სახლში დასაწოლი კი არა, დასადგომი ადგილიც არ იყო. ამბობენ, რომ გზაზე ყაჩაღობა მიდის. ვერტმფრენები სოფელ აჟარაში სხდებიან, მაგრამ მასში მოხვედრა პრაქტიკულად ძნელიაო; შუადღეს ჩხალთას მივაღწიეთ. სიმამრის ოჯახი არ დამხვდა, უკვე წასულიყვნენ. სახლში მხოლოდ ცოლისძმა ჯამბული დამხვდა. მირჩია ცოლ-შვილი წამეყვანა უღელტეხილის გზით მესტიის რაიონში ნათესავებთან. თვითონ წამოსვლას არ აპირებს. კოდორის ხეობის ბიჭებმა ერთმანეთს შეჰფიცეს ხეობა არ მიატოვონ. ცოტა ხნით შევისვენეთ. ამ დროს მეზობლებმა გამოიარეს, ისინიც შევიპატიჟეთ. ცოლისძმამ გვიმასპინძლა, რითაც შეეძლო. ჩვენი მანქანა აქ დავტოვეთ და მეზობლის „კამაზზე" გადავედით. საღამოს უკვე აჟარაში ვართ. დღეს მხოლოდ 20–22 კმ. გავიარეთ.

### 1 ოქტომბერი

წუხელ გაწვიმდა. ამბობენ უღელტეხილზე თოვლიც დევსო. დილით გადაიღო, მაგრამ სიცივეა.

აქ მეზობლები დავიშალეთ. ზოგმა გადაწყვიტა ვერტმფრენს დალოდებოდა, ზოგი კი უმალვე დაიძრა უღელტეხილისაკენ. ადგილობრივი მოსახლეობა გვირჩევს დავიცადოთ, სანამ არ გამოიდარებს. მანქანები მაინც ვერ გადავლენო, ფეხით მოგიწევთ 45 კმ. გავლა და ეს მთის პირობებში თვით ჯიკაცებისთვისაც კი ძნელიაო.

ჩემდა საბედნიეროდ, ჩემი სიმამრის და მისი ახლო ნათესავებისაგან შემდგარი პატარა ჯგუფიც თურმე აჟარაში ათევდა ღამეს. მე ოჯახით მათ შევუერთდი. უფრო სწორად ცოლ-შვილი. მე კი დაბრუნებას ვაპირებ ამ ხეობის მამაკაცებისაგან შემდგარი ბატალიონის შემადგენლობაში საბრძოლველად. ამ დროს ჩემი მეზობლებისაგან შემდგარი ჯგუფიც მოვიდა, სულ 10 ხნიერი მამაკაცი. საქონელს მოდენიან საკუთარს და მეზობელთა მიერ მიბარებულებს. ჩემი საქონელიც მოჰყავთ თურმე და მთითხოვეს მათთან ერთად წავსულიყავი, რადგანაც მათი გზა ჭუბერის შემდეგ ჩემს გზას არ ემთხვეოდა. ნათესავებმა მირჩიეს წავყოლოდი მათ და ჭუბერში მათთვის დამეცადა, ხოლო ცოლ-შვილი მათთან უფრო უსაფრთხოდ ივლიდა, რადგან ჰქონდათ 1 ორხიდიანი „კოლხიდა" და ტრაქტორი მისაბმელით. მოჰქონდათ ბრეზენტებიც ღამის გასათევად. ამას გარდა მანქანაც და მისაბმელიც გადახურული ჰქონდათ ბრეზენტით. გზაზე ყაჩაღებისაგან ისინი უფრო დაიცავდნენ თავს, ვიდრე მე მარტო.

### 2 ოქტომბერი

დილით ადრე ცოლშვილს და ნათესავებს დავემშვიდობე და გზას გავუდექით. აჟარაში ბევრი ჩამორჩენილი ლტოლვილიც ვნახეთ, რომლებიც საშინელებებს ჰყვებიან. სოფ. განახლების მოსახლეობის დიდ ნაწილს თურმე ვერ მოუსწრია ცენტრალური გზით გამოსვლა და მოკლე ბილიკებით წებელდისაკენ წამოსულან. ცოტამ თუ გამოაღწია ამ გზით. წებელდელი სომხები ბილიკებზე უსაფრდებოდნენ და უმოწყალოდ ხოცავდნენ ქართველ ლტოლვილებს. ქართველთა გვამებითაა მოფენილი განახლება - წებელდის ბილიკები, რომელთა სიგრძე შეადგენს 8-10 კმ-ს. საბედნიეროდ, ბილიკები ბევრია და ნაწილმა მაინც შესძლო გამოსვლა. 1 ოქტომბერს წებელდაში შემოსულა სომხური ბატალიონი. დარჩენილი ქართველი მოსახლეობა ტყეებში და ჯერ აუღებელ სიმინდის ყანებშიაო გახიზნულა, ვინც ნახეს, კი დახოცესო.

დღეს მხოლოდ 10 კმ. გავიარეთ და სოფ. გენწვიშში გადავწყვიტეთ ღამის გათევა. გზაზე აშკარა ყაჩაღობაა. ვერავინ ვერ დაეხმარება, კიდევაც რომ მოინდომოს, „არამკითხეს" ადგილზე დახვრეტენ. საქონელი შემოღობილ სათიბში შევდენეთ და ცეცხლი დავანთეთ, რომ არ გავიყინოთ.

### 3 ოქტომბერი

დილით 3 ძროხა ვერ ვნახეთ. არაფერი გვითქვამს, თუმცა ვიცოდით, ვის შეეძლო წაეყვანა. ეზო ჩაკეტილი იყო, თავისით ვერსად წავიდოდა საქონელი. მასპინძელმა მოგვპარა, მან, ვინც ეზოში შეგვიშვა. შუადღისას სოფ. ომარიშარა გავიარეთ და სოხუმ-ქლუხორის გზიდან გეზი საკენისაკენ ავიღეთ. აქ ახალი ბორცვებია. ვიკითხეთ, თუ რა არის ეს. გვითხრეს საფლავებიაო. ჯერ კიდევ გაჩნია ხალხს ძალ-ღონე, რომ დაესაფლავებინათ მაინც ქრისტიანულად. საღამოს სოფ. საკენს მივაღწიეთ. აქ იყო ძირითადი მოედანი, საიდანაც ვერტმფრენებს ხალხი გადაჰყავდა. როგორც გვითხრეს, მუშაობდა მხოლოდ 3 ვერტმფრენი, მეტი საქართველოს არც გააჩნიაო. საკენში სრული ქაოსი და განუკითხაობა სუფევს. აყაჩაღებდნენ ღღისითაც, აშკარად და ყველას თვალწინ. მიზეზი თითქოს იარაღის ჩამორთმევა იყო. იარაღის ჩამორთმევა ჯაბას ბრძანებააო. იარაღთან ერთად მიჰქონდათ ყველაფერი, რაც მოეწონებოდათ. პირველ რიგში ოქრო და ფული. სოფლის განაპირას მინდორზე ღამის სათევად მოვემზადეთ. უცებ საიდანღაც ერთი „ვეკაცი" მობრძანდა. ვინ მოგცათ უფლება აქ გაჩერებისა და კინაღამ ყველანი დაგვხვრიტა, ავტომატის ჯერი მოუშვა ჩვენზე, მაგრამ ბედად მისმა ამხანაგმა მოასწრო ხელის აკვრა. როცა ნახეს, საქონლის გარდა არაფერი არ გვქონდა, წავიდნენ. სოფელში მთელი ღამე სროლა და წივილ-კივილი ისმოდა, აყაჩაღებდნენ ყველას, ვისაც კი რაიმე ბარგი ჰქონდა, თუ მოეწონებოდათ გოგონებიც მიჰყავდათ. მხოლოდ იმ ღამეს 3 კაცი მოკლეს.

ერთი განსაკუთრებით შემზარავი ფაქტი მოხდა. ყველას თვალწინ ბანდიტებმა დედას 16-17 წლის გოგონა წაართვეს, შორიახლო გაიყვანეს და გააუპატიურეს.

ხალხი სასოწარკვეთილია. წყევლიან ყველას, ვინც მათი აზრით ეს ომი დაიწყო. წყევლიან არძინბას თუ შევარდნაძეს, ქობალიას თუ კიტოვანს, ჯაბას თუ სხვა „გენერლებს".

### 4 ოქტომბერი

საქონელი და ჩვენც დასვენებას ვსაჭიროებდით, მაგრამ ვარჩიეთ ამ ადგილს სასწრაფოდ გავშორებოდით. მთელი დღე ვიარეთ გაჭირვებით და დღის ბოლოს მდ. საკენს მივაღწიეთ. ამ დღეს მხოლოდ 6-8 კმ. გავიარეთ. გადავედით საკენის ხიდზე და ტყეს შევაფარეთ თავი. ეს ადგილი იყო მოჩრდილი ლაჭაობებული ადგილი. გზა საკენიდან ამ ადგილამდე მოფენილია ათასობით მანქანით. ასობით მანქანა ხევშია ჩაყრილი. ათობით მანქანა იწვის. პატრონები რადგან ხედავენ, რომ ამას იქეთ მხოლოდ ტრაქტორი ან 2-3 ხიდიანი სატვირთო მანქანა ივლის, მანქანებს ხევებში ჰყრიან ან წვავენ, რომ მტერს არ დარჩეს. ბევრმა მანქანა ჯერ კიდევ აჟარაში, გენწვიშში ან ომარიშარში დატოვა. კიდევ უფრო მეტი წაართვეს თავის ბარგიანად, უფრო მეტად გენწვიშში და ომარიშარში. საკენს ვინც გამოცდა, ისინიც კი ამ ადგილებში ტოვებდნენ მანქანებს. ამ ტაფობზე დგას ასობით მანქანა, ზოგი უკვე გაძარცული, ზოგიც დამტვრეული, ზოგი კი კარვის მაგივრობას უწევს ხალხს.

### 5 ოქტომბერი

გადავწყვიტეთ ეს დღე აქ დავრჩეთ, რათა საქონელმა და ჩვენც დავისვენოთ და მხოლოდ ხვალ განვაგრძოთ გზა. გზაც საიმედოდაა ჩაკეტილი, ჩახერგილი ასობით მანქანით. ეს ადგილი არის მთის ძირი და გზა ამ მთის ციცაბო ფერდობებს მიუყვება. კაცმა რომ თქვას, ეს გზაც არაა. მახსენდება ვაჟას სიტყვები: „გზას გამბობ, თორემ რა გზაა"...

ვეძებ იმ ჯგუფს, რომელსაც სიმამრი მოჰყვება ჩემი ცოლშვილით. ვისაც ვკითხე, არავის უნახავს. რამდენიმე კმ. გავიარე უკან, მაგრამ უშედეგოდ. დაღამდა.

საშინელი სიცივეა. ცეცხლს ვუზივართ მშივრები. გვაქვს ცოტა ფქვილი, მაგრამ გზის ძირითადი ნაწილი, თანაც დაუსახლებელი წინაა. უღელტეხილი ხომ მხოლოდ ახლა იწყება. ცეცხლიც წინიდან გვათბობს, მაგრამ ზურგი გვყინება. გამთენიისას მაინც ჩაგვეძინა დაღლილ-დაქანცულებს.

### 6 ოქტომბერი

განთიადისას სულის შემძვრელმა კივილმა გაგვაღვიძა. დედამ, რომელსაც ალბათ დაღლილ-დაქანცულს ეძინა გულში ჩვილჩახუტებულს, დილით შეამჩნია, რომ მისი რამდენიმე დღის პატარა აღარ სუნთქავდა. ყველანი საშინელ ხასიათზე დავდექით. როგორც იტყვიან, დანა პირს არ გვიხსნის. ქალები ამშვიდებენ დედას, რომლის მწუხარება უსაზღვროა. მომესმა ერთი ქალი ეუბნება: მერე რა მოხდა ქალო, ვის არ მოკვდომია შვილი... ეს სიტყვები რომ გავიგონე, იმდენად უაზრო, სულელური მეჩვენა ისინი, შევყვირე გამწარებულმა: რას ამბობ, როგორ თუ რა მოხდა, დედას შვილი მოუკვდა, მეტი რა უნდა მოხდეს მისთვის მეთქი. საქონელი მოვაგროვეთ. ბევრი აკლია, მაგრამ არ გვიძებნია. ჯანდაბას ეს საქონელი მეთქი ვფიქრობ. ნეტავ ვიცოდე ჩემი ბავშვები როგორ არიან, განსაკუთრებით მაწუხებს პატარა გიორგის ბედი. უფროსები 11 და 9 წლისანი კი იმედი მაქვს გაუძლებენ. თან ვიცი ჩემიანების ჯგუფს პროდუქტი ბევრი მოაქვთ და არ მოშივდებათ.

შევუდექით ციცაბო აღმართს, რომელსაც თითქოს დასასრული არ უჩანს. შუადღემდე ძლივს მივაღწიეთ მთის მწვერვალს. გზაც ცოტა გაკლდა. ეს უკვე ალპიური ზონაა, არანაკლებ 2500 მ. ზღვის დონიდან. გვაფრთხილებენ, რომ ამ ადგილებზე არ შეიძლება შემოგვაღამდეს. ცეცხლსაც ვერ დავანთებთ, შეშა ხომ არსადაა. ამინდი კარგია, მაგრამ თოვლი ისევ დევს. ამ ადგილებში ყაჩაღებიც არ არიან. ისევ საშინელი სცენა. დედამ ჩახუტებული პატარა შვილი მეუღლეს მიაწოდა და თვითონ უფსკრულში გადაეშვა. თურმე 3 მცირეწლოვანი შვილი მანამდე დაეღუპა, მანქანით გადაიჩეხენ კლდეში. მეტი ვერ შესძლო 3 შვილის დამკარგველმა დედამ და სიცოცხლე მოისწრაფა. არ ვიცი გვამს რა უყვეს, არა მგონია ვინმეს გაებედა იმ უფსკრულში ჩასვლა და გვამის ამოღება. ან ჰქონდა კი ვინმეს ამდენი ძალ-ღონე? ყოველ ნაბიჯზე მიცვალებულები ყრია. არავინ ფიქრობს მათ დაკრძალვაზე. ადამიანური გრძნობებიც ჩაკლა ამ ტანჯვამ ადამიანებში. უკვე იშვიათად თუ ვინმეს დაეხმარებიან, ყველა თავის თავს შველის. უეცრად ვერტმფრენი გამოჩნდა და რაღაც ცელოფანის პაკეტი გადმოაგდო. პური ან თბილი სამოსი იყო, ალბათ, მაგრამ პაკეტი მთაზე დაეცა. ვერავინ ვერ გაბედა მთაზე ასვლა, თუმცა შორს არ იყო. ამის ძალა უკვე არავის შესწევდა. მთის ფერდობზე, ხევს გაღმა, ვერტმფრენის ნამსხვრევები შევნიშნეთ. გვითხრეს 45 ადამიანი დაიღუპაო, ძირითადად ქალები და ბავშვებიო. რაც უფრო ვუახლოვდებით უღელტეხილის ყველაზე მაღალ წერტილს, მით უფრო მეტია გვამები გზაზე, მით უფრო ნაკლებ ვაქცევთ ყურადღებას მათ ადამიანი თურმე ყველაფერს ეჩვევა, სიკვდილსაც კი.

მივაღწიეთ უღელტეხილის ყველაზე მაღალ წერტილს, უკვე ღამდება. ტყემდე კი 3 კმ იქნება. აქედან უკვე ჩანს, მაგრამ იქამდე მიღწევა ადვილი არაა. მთის ძირში წითელი ჯვრის კარავი შევნიშნეთ. მივედი და პური ვთხოვე. მომცეს ორი პური, ძეხვი, გამხმარი, მაგრამ ამას ვინ დაეძებს. საჭმელად ვერ ვჭერდებით. დაღამდა. მივდივართ ალალბედზე. ვეცემით, ვდგებით და ისევ მივდივართ. საქონელს არ ვეძებთ. როგორც იქნა მივაღწიეთ ტყეს, პირველივე ხესთან შევჩერდით. ტყე კოცონებითაა სავსე და ამით მივაგენით. პური გავინაწილეთ და მიწაზე დავეყარეთ. ცეცხლის დანთება არ შეგვიძლია. ამ სიბნელეში შეშას ვერც მოვძებნით და არც ძალ-ღონე შემოგვრჩა.

### 7 ოქტომბერი

დილით სიცივემ გაგვაღვიძა. ხელი და ფეხი არ გვემორჩილება, მაგრამ შეშა მაინც მოვაგროვეთ. როცა გავთბით, საქონელი მოვიძიეთ. ბევრი ვერ ვნახეთ. საჭმელი არა გვაქვს. ძროხებს ხომ უკვე დიდიხანია არ ვწველით, და გაშრენ, თორემ რძე მაინც გვექნებოდა, ცოტა სიმინდის ფქვილი გვაქვს და ღომის გაკეთება გადავწყვიტეთ. მეზობელმა შოთა გედენიძემ ერთადერთი შემორჩენილი თხა დაკლა. დანარჩენი თხები გზაში წაართვეს, ხოლო 13 სული საქონლიდან არც ერთი არ შემორჩა, ზოგი დაიკარგა, ზოგი მოგვპარეს და ზოგიც წაგვართვეს. ეს დღე აქვე დარჩენა გადავწყვიტეთ. სიარული მაინც არ შეგვეძლია. თანაც მიზარია დარჩენა, შეიძლება ჩემიანები დაგვეწიონ. ბევრი თანასოფლელიც ვნახეთ, საჭმელი ყველას გავუნაწილეთ და დღეს მეტს ვერც შევჭამთ რამეს, არაფერი არ დაგვრჩა. საღამოს მე-6 და მე-7 ბატალიონების ნარჩენები 200-მდე კაცი მოვიდა, ყველანი იარაღით და მეზობლად დაბანაკდნენ. ყაჩაღებმა „დელეგაცია" მიუგზავნეს, ნახევარი იარაღი მოგვეცით, რომ გაგატაროთო. უარით გაისტუმრეს. ყაჩაღები დაემუქრნენ, ყველას წაგართმევთო. ერთი სამწუხარო ამბავიც მითხრეს ნაცნობებმა, თურმე იმ ვერტმფრენში ჩემი ახლო ნაცნობები, მერხეულელი ქობალიებიც ისხდნენ. ერთად-ერთმა მამაკაცმა ოჯახიდან ნუგზარ ქობალიამ დედა, მეუღლე, ორი შვილი და და ძმისშვილი ვერტმფრენით გაამგზავრა, თვითონ კი დარჩენას აპირებდა. იმავე საღამოს გაიგო, რომ ექვსივენი დაიღუპნენ.

### 8 ოქტომბერი

დილით საქონელი მოვაგროვეთ და ეს-ეს არის უნდა დავიძრათ, რომ ატყდა საშინელი სროლა, თვით ყუმბარმტყორცნებითაც კი. ყაჩაღებმა „მუქარა" შეასრულეს. გზის ვიწრო ადგილში ჯარი ალყაში მოაქციეს. მოსახლეობა ჯარს გაჰყვა, მიუხედავად მეთაურთა თხოვნისა, რომ ცალკე გაეშვათ. ხალხს ეშინოდა ყაჩაღების და იმედს ამ ბატალიონების ნარჩენებში ხედავდა, ამიტომ შეერია მათ რიგებში. მოკლეს ერთი და დაჭრეს სამი ჯარისკაცი. არის მსხვერპლი მშვიდობიან ლტოლვილებშიც. თავიდან რომ აეცილებინათ ხალხის უაზრო ჟლეტა, მებრძოლებმა იარაღი დაყარეს. პოზიციაც აშკარად ცუდი იყო. მარცხნივ კლდე, მარჯვნივ უფსკრული, ხოლო წინ და უკან ჩასაფრებული ბანდიტები. იარაღის უმეტესობა ხევში ჩაყარეს, რომ არ ჩაებარებინათ.

ხალხი ლაპარაკობს, რომ ეს გზა სპეციალურად გაიყვანეს ივლის-აგვისტოში, რომ უკვე მაშინ განზრახული იყო სოხუმის ჩაბარება. იარაღის წართმევაც, რაც აშკარა ყაჩაღობაში, მკვლელობებში, გაუპატიურებასა და ათასგვარ სისაძაგლეში გადაიზარდა, იმიტომ განხორციელდა, რათა იარაღიანი ხალხი ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებს არ შეერთებოდა. ოჩამჩირის გზის არგახსნასაც ამით ხსნიან, მაშინ იარაღის ჩამორთმევა არ მოხერხდებოდა და ათი ათასობით შეიარაღებული ლტოლვილი ლოთი ქობალიას ჯარს გააძლიერებდაო. არ ვიცი ასეა თუ არა, მაგრამ ამ აზრში ლოგიკა არის.

საღამოს უკვე სოფელ ლახამში ვართ, ჭუბერიდან 3 კმ-ზე. მდინარის პირას დავბანაკდით. აქედან მე სხვა გზა მაქვს. დანარჩენებმა ზუგდიდისაკენ უნდა გადაუხვიონ, მე კი ცოლშვილს დავუცდი და მათი დაბინავების შემდეგ დაბრუნებას ვაპირებ კოდორის ხეობაში.



გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იყო ვინ

# ჯაბა იოსელიანი

ვინ იყო ვინ

## ოთარ მეღვინეთუხუცესი: დეპუტატად არჩევისას ჯაბას ნდობით აღჭურვილი პირი ვიყავი



ჯაბა იოსელიანი ნანახი არ მყავდა, ისე ვიცოდი მის შესახებ. ქალბატონი ლილი იოსელიანი ჩვენი პედაგოგი იყო და ერთხელ მიღებული წერილი წაგვიკითხა — თუ რას ფიქრობდა ჯაბა გორკის „ფსკერის" შესახებ. არ ვიცი იქ ნახა ეს პიესა, თუ ძველი წაკითხული ახსოვდა, მაგრამ საინტერესოდ წერდა პიესის თანამედროვე მნიშვნელობის, როლების დახასიათების შესახებ. ჩვენ ვიცოდით, რომ ჯაბა ძალიან განათლებული კაცი იყო, რომელიც გაჭირვებაში აღმოჩნდა. ცხადია, ახლობელი თავისას ყოველთვის ამართლებს და ჩვენც დარწმუნებული ვიყავით, რომ იქ შემთხვევით აღმოჩნდა. შემდგომში ქალბატონ მედეა ჯაფარიძეს, როგორც დეპუტატს, დიდი ღვაწლი მიუძღვოდა მის ვადაზე ადრე განთავისუფლებაში. პირველი შეხვედრისას თვალწინ საოცარი გარეგნობის კაცი წარმომიდგა, რომელსაც იქ ყოფნის არაფერი ეტყობოდა. შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში თეატრმცოდნეობის სპეციალობას ეუფლებოდა. ჩვენს თეატრში სპექტაკლების განხილვაზე ხშირად მოდიოდა. მის ბიოგრაფიას წარსული რაღაც ვარდისფერი ელფერივით დაჰყვებოდა.

ჩვენს არეულ დროში ეს კაცი გარკვეულ ჩარჩოებში ვეღარ ჩაეტია. მახსოვს, როგორ დაუწყო ხალხს ფიზიკური მზადება და მათთან ვარჯიში მეც შემომთავაზა, მაგრამ, პროფესიიდან გამომდინარე, სამაგისო დრო არ მრჩებოდა. ჯაბა იყო პირველთაგანი, ვინც სამაჩაბლოში ქართულ მოსახლეობას იცავდა. მეორე მხარეს ძალიან მკაცრად არ ექცეოდა, ვინაიდან ძალისმიერი მეთოდების გამოყენების წინააღმდეგი იყო. ხოლო როცა გარკვეული ტერიტორიები ჩვენი აღარ იყო, სწორედ იგი მოწინააღმდეგის ზურგში შედიოდა.

ყოველივე ეს ჩემში მისდამი გარკვეულ პატივისცემას იწვევდა.

ნაძალადევის რაიონში დეპუტატად არჩევისას, მისი ნდობით აღჭურვილი პირი ვიყავი და გულწრფელად ვთქვი, რომ თბილისში დატრიალებული ტრაგედია ჯაბას არ დაუწყია, რასაც ძალიან კარგი გამოხმაურება მოჰყვა. ვერც იქნებოდა, ვინაიდან მაშინდელ ხელისუფლებას თავისით ჩაბარდა და ციხეში იჯდა.

## ივლიანე ხაინდრავა: მგლებს ცხოვრების საკუთარი წესები აქვთ



ჯაბა იოსელიანისთვის მე საჯაროდ და პირში მითქვამს სიმართლე მაშინ, როცა ბევრი სხვა ამას ვერ უბედავდა. ამიტომ, ვფიქრობ, დღესაც მაქვს მორალური უფლება გამოვთქვა ჩემი აზრი ამ პიროვნების შესახებ. ისე კი, არ მიყვარს და არც მჩვევია უკვე დაცემული კაცისთვის წიხლის მიყოლება და არც ახლა ვაპირებ ამის გაკეთებას. შევეცდები ამ კაცის ფენომენის ჩემეული ხედვა ჩამოვაყალიბო მოკლედ. ჯაბა იოსელიანის უბედურება და ის უბედურებებიც, რომელნიც მან თავისი მოღვაწეობით ქვეყანას მოუტანა, სათავეს იმ ვითარებიდან იღებენ, რომელმაც იგი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა. საქმე იმაშია, რომ არც თავისი აზროვნების წესით, არც ტემპერამენტით და არც იმით, „გაგებას" რომ უძახიან, იგი არ შეესაბამებოდა იმ მოთხოვნებს, პოლიტიკურ მოღვაწეს რომ უყენებენ. მისი ცხოვრებისეული კრედო, მისი შეხედულებები სახელმწიფოზე, ჯარზე, მართლმსაჯულებაზე და ა.შ., ძალიან რბილად რომ ვთქვათ, შორს იდგა იმისგან, რაც სახელმწიფო მოღვაწეს უნდა ჰქონდეს. სწორედ ამ მცდარი შეხედულებებისა და მიდგომების დანერგვის მცდელობამ ღრმა, არ მინდა ვთქვა — განუკურნებელი, მაგრამ უაღრესად მტკივნეული იარა დააჩნია ჩვენი სამშობლოს სხეულს, ქართველი ახალგაზრდობის ნაწილს. ცხადია, ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა რამდენიმე ხელშემწყობი გარემოება.

პირველი — სუბიექტური ხასიათისაა და მომდინარეობს იმ პიროვნული თვისებებიდან, რომლებიც გააჩნდა ჯაბა იოსელიანს. ფაქტია, რომ იგი რომანტიზმის გარკვეული შარავანდედით იყო მოსილი, რაც მიმზიდველს ხდიდა ახალგაზრდების ზოგიერთი კატეგორიის თვალში. თავისებური შარმიც ჰქონდა, ვაჟკაცობაც, ალბათ სხვა ისეთი თვისებებიც, რომლებიც მის გარშემო მიზიდულობის ერთგვარ ველს ჰქმნიდნენ. მეორე და უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ჯაბა იოსელიანის ფენომენის წარმოქმნისა ეს არის ქართულ საზოგადოებაში ზნეობრივი ნორმების მორყევა, ფასეულობათა შკალის მოშლა, ის ქაოსი, რომელმაც დაისადგურა ქართველთა სულებში, გულებში, გონებაში. მესამე კი ის გახლავთ, რომ ამ ზნეობრივი ვარდნის პროცესში ხელისუფლებაში ის ხალხი მოვიდა, ვინც ამ ვარდნაში გაუსწრო კიდეც დანარჩენ საზოგადოებას ან საერთოდ იყო დაცლილი ზნეობრივი კრიტერიუმებისაგან. მათ ქმედებებში და ურთიერთობებში მთავარი მოტივაცია ის არის, თუ ვინ ვის უკეთ გამოიყენებს თავისი მიზნებისთვის. ამ ჭირითში ჯაბა იოსელიანი, დროებითი წარმატებების მიუხედავად, საბოლოოდ დამარცხდა და ახლა მისი მეტოქეები შეეცდებიან მას თავისი „დამსახურებებიც" აჰკიდონ. ეს მე ჯაბა იოსელიანს თავის დროზე ვუწინასწარმეტყველე, თუმცა, ვფიქრობ, მას უჩემოდაც უნდა სცოდნოდა, თუ რა ბოლო ელოდა. მგლებს ცხოვრების საკუთარი წესები აქვთ.

## გენო კალანდია: რაც მე იქ ვნახე, რომ არ ვთქვა, გულწრფელი არ ვიქნები



აფხაზეთის უკანასკნელი დღეების მოვლენების დროს ვხედავდი, რომ ჯარი დაბნეული იყო და პოზიციებს ტოვებდნენ. წითელ ხიდთან შევესწარი იმას, რომ გაქცეულ ჯარისკაცებს ჯაბა იოსელიანი და ირაკლი ბათიაშვილი აკავებდნენ, ავტობუსში სვამდნენ და პოზიციებზე აგზავნიდნენ. სხვა საკითხებში არ ვერევი, მაგრამ გულწრფელად ვამბობ, რომ ჯაბა მაშინ, სოხუმის ისეთ პირობებში, შეუძლებელს აკეთებდა. მახსოვს, 21 სექტემბრის შემდეგ, კრიტიკული ვითარება შეიქმნა და აფხაზეთის მთავრობაში დაბნეულობა, პანიკა იყო, სადგურიდან აფხაზი და ჩეჩენი ბოევიკები შემოვიდნენ, ჯაბა თავისი ხალხით გადიოდა და პოზიციებს იბრუნებდა. ამ მხრივ, რაც მე იქ ვნახე, რომ არ ვთქვა, გულწრფელი და მართალი კაცი არ ვიქნები, თუ არ ვიტყვი, რომ ჯაბას რაც შეეძლო, იმას აკეთებდა. თუ ღალატი იყო, შეუძლებელს ვერ შეძლებდა, ვინაიდან 24 სექტემბრის შემდეგ ჩვენი ჯარი უჩუმრად პოზიციებს ტოვებდა, არ ვიცი, ვისი განკარგულებით. მაშინ, პირიქით, ჯაბა შეძლებისდაგვარად სოხუმს იცავდა.

ის პროფესიონალი გენერლები, რომლებიც საქართველოს არმიას უხვად ჰყავდა, იმათგან იმ დღეებში იმდენი ძალისხმევა არ მინახავს, როგორც ჯაბა იოსელიანისაგან მახსოვს.

## ვასილ კიკნაძე: ჯაბა იოსელიანმა კი თქვა სიმართლე

კარგად ვიცნობ და ვაფასებ ჯაბა იოსელიანის თეატრმცოდნეობით გამოკვლევებს. მან პირველმა გამოიკვლია და შექმნა მეცნიერული მონოგრაფიული შრომა „სერგო ამაღლობელი", რისთვისაც მას ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. მონოგრაფია წიგნადაც გამოვიდა ჩემი რედაქტორობით. იმ დროს ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა სიმართლის თქმა რეპრესირებულ ადამიანებზე. ჯაბა იოსელიანმა კი თქვა სიმართლე!

ქართული თეატრის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეულია მისი სადოქტორო შრომა „კომიზმი და ქართული კომედიის ნიღბები", რომელიც წიგნად გამოვიდა 1982 წელს. ეს არის წიგნი, რომელსაც ვერც ერთი მეცნიერული სინდისის მქონე ისტორიის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

წიგნში კონცეპტუალურ მნიშვნელობას იძენს ჯაბა იოსელიანის რიგი შეხედულებები ქართული თეატრისა და დრამატურგიის პირობებზე. პროფესორ ჯაბა იოსელიანს აქვს პრობლემის ახლებური გააზრების ნიჭი. საერთოდაც, როგორც მეცნიერი და დრამატურგი, გამოირჩევა სიახლის გრძნობით. კარგად მახსოვს, თუ რა ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვიეს მისმა პიესებმა, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე რომ დაიდგა. პირველად „ტაკიმასხარა" დაიდგა (რეჟის. მ.კუჭუხიძე). ეს იყო 1974 წელს. მეორე წელს დაიდგა „ეთერიანი", აქაც მითის თამამი ახლებური გადაწყვეტა, არსებითად იგივე ითქმის ახალ პიესაზეც, რომელიც ახმეტელის თეატრში წარმოადგინეს.

მე, როგორც ქართული თეატრის ისტორიის მკვლევარს, გული მწყდება, რომ ჯაბამ ცოტა დრო დაუთმო თეატრმცოდნეობით კვლევა-ძიებას, არადა, თავისი წიგნებით, წერილებით, სამეცნიერო სექტორის სხდომებზე გამოსვლებით ყოველთვის საინტერესო იყო, ყოველთვის ამბობდა რაღაც ახალს, დამაფიქრებელს, ამასთანავე უთუოდ კეთილგანწყობით.

# მამათმავლებს ახალგაზრდა ქართველი იდეოლოგი გამოუჩნდათ!..

არისტოტელედან მოყოლებული დღემდე, მიბაძვა არათუ დასაგმობ, — ადამიანის განვითარების, ცივილიზირებულობის ერთ-ერთ ნიშნად ითვლება. ყველაფერი კარგი, რაც აქამდე ადამიანთა მოდგმას შეუქმნია, შეუქმნია სწორედ იმიტომ, რომ ეს კარგი მაგალითად იქცეს.

მიბაძვის უპირველეს ლიბოდ ქრისტეს ცხოვრებაა გამოცხადებული. ღმერთი განკაცდა, მოვიდა დედამიწაზე და იცხოვრა მოკვდავთა ცხოვრებით სწორედ იმ მიზნით, რომ ადამიანებმა მიბაძონ მას, მიბაძონ ქრისტეს ცხოვრებას, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახარება შეიქმნა, როგორც ქრისტიანთა ცხოვრების სამაგალითო წიგნი.

ერთი სიტყვით, მიბაძვაში ცუდი არაფერია. ადამიანები ადამიანებს ბაძავენ, ერები ერებს და ეს სრულიად ბუნებრივი პროცესი გახლავთ, მაგრამ მიბაძვა, იმავდროულად პიროვნებისა ან ერისათვის შესაძლოა კატასტროფის დასაწყისადაც იქცეს. თუ კარგის ნაცვლად, ღვთაებრივის წილ, ცხოველებზე იქნა აქცენტი გადატანილი, არადა, ყოველთვის უფრო ადვილია ადამიანი ბაძავდეს ცხოველებს და ძნელია უზენაესი ფასეულობების შესისხლხორცება.

არის ერთი ქართული ანდაზა — „თურაშაულის პატრონი სხვის ბაღში ეძებს პანტასაო". სამწუხაროდ, ქართველები, როგორც კი ევროპისაკენ გზა გაიხსნა, ამ ანდაზას ვამართლებთ ხშირად. ვივიწყებთ ჩვენს მშვენიერ ტრადიციებს და ვბაძავთ არა იმას, რაც მისაღები და ასათვისებელია ევროპიელთაგან, არამედ იმას, რაც ადვილია მისაღებად, რამდენადაც ცხოველურია... ამ საკითხზე კარგად წერდა ამ ბოლო დროს გაზეთ „საქართველოში" ბატონი ნოდარ ნათაძე (იხ. „საქართველო" №9, 1996 წ.). გთავაზობთ ციტატას: „ვთქვათ შევიდნენ ევროპელები რომელიღაც ჩამორჩენილ რეგიონში და თან მიიტანეს ყველაფერი, რაც ჰქონდათ, მაგარი სასმელებითა და სქესთა ურთიერთობის ლიბერალიზაციით დაწყებული და ბეთჰოვენის მუსიკით ან კანტის ფილოსოფიით დამთავრებული.

ადგილობრივებმა ორგანულად შეითვისეს სასმელები და ლიბერალიზმი სქესთა ურთიერთობის მიმართ, რადგან მათი შეთვისება ადვილია (დათმეთ დღემდე არსებული შემაკავებელი შეზღუდვები და მორჩა), მაგრამ ვერ შეითვისეს ბეთჰოვენი და კანტი მათი შეთვისების სიძნელის გამო, ამგვარი „ფილტრის" მოქმედების შედეგად იქმნება ე.წ. „მარგინალური" ანუ მონაპირე ცივილიზაციები ერთ-ერთი ყველაზე მახინჯი მოვლენა, რომელსაც თანამედროვეობა იცნობს".

აი, სწორედ, ამ „მარგინალური" ანუ მონაპირე ცივილიზაციის დანერგვას ცდილობს ჩვენში ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე, ზოგს პრაქტიკულად გადმოაქვს უცხოეთიდან ყოველგვარი სიმახინჯე, ზოგი კი ამ სიმახინჯეთა, ანუ „მარგინალური" ცივილიზაციის იდეოლოგად გვევლინება.

ამას წინათ გაზეთ „საქართველოში" აღშფოთებით ვწერდით იმის შესახებ, რომ თბილისში გაუგონარი ამბავი ხდება, რომ მამაკაცები დაქორწინდნენ ერთმანეთზე, რომ ვაგზლის მოედანი მამათმავალთა შეკრების ადგილად იქცა და ა.შ.

სამაგიეროდ ის, რაც გვაშფოთებს ჩვენ „შუა საუკუნეების ბნელეთიდან ჯერ კიდევ ვერგამოსულ ქართველებს", სავსებით მისაღებად და, უფრო მეტიც, ჩვენი ერის ცივილიზირებულობის ნიშანსვეტად მიუჩნევიათ მავანთ, მაგალითად:

ცნობილი კინომცოდნე ბატონი გოგი გვახარია ჟურნალ „სინემაში" (1996 წ. №2), მიმოიხილავს რა „ბერლინალეს" პრიზებზე წარდგენილ ფილმებს წერილში „აზრი გრძნობას სჯობს", დაუფარავად წერს: „ტაივანური წარმოშობის ამერიკელმა რეჟისორმა ანგ ლიმ წელს უკვე მეორედ მოიპოვა „ბერლინალეს" მთავარი პრიზი. 1993 წელს „ოქროს დათვით" აღინიშნა მისი ძალზე სადა, კინემატოგრაფიული თვალსაზრისით სრულიად უპრეტენზიო ფილმი „საქორწინო ბანკეტი" — ამბავი ტაივანელი ჭაბუკისა, რომელიც ნიუ-იორკში ცხოვრობს თავის მეგობართან ერთად, უმალავს მშობლებს, რომ ჰომოსექსუალისტია და მას შემდეგ რაც მოხუცი დედ-მამა საგანგებოდ ჩადიან ამერიკაში შვილის დასაქორწინებლად, იძულებულია „ქორწილი გაითამაშოს". ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ამერიკულად მთავრდება: შვილი გამოუტყდება დედას თავის „ორიენტაციაში" და, რაც ყველაზე საოცარია, თუმცა ზღაპარში ყველაფერი ხდება, — ტაივანელი მშობლები, რომლებიც აქამდე ლამაზ რძალსა და შვილიშვილზე ოცნებობდნენ — გაუგებენ მას, უფრო მეტიც, მის ამერიკელ მეგობარსაც შეიყვარებენ..."

იმაში, რაც აქ არის გადმოცემული, ბატონ გვახარიას არაფერი შეშლია. მან პატიოსნად დააფიქსირა ის, რაც ფილმში ხდება და ტაივანელი მშობლების თავის სატკივარია უნდა შეიყვარონ თუ არა თავიანთი ბანჯგვლიანი რძალი თუ სიძე, ვინაიდან ჩვენთვის ძნელი დასადგენია, ამ ორი მამათმავლიდან რომელს რომელი ფუნ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე



# ფრანგული პრესის ფურცლებზე

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მკითხველს შევპირდით, რომ ყოველკვირეულად შემოგთავაზებდით აქტუალურ მასალებს ფრანგული პრესის ფურცლებიდან. შეპირებისამებრ სახელსეწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრის დოცენტი გიორგი ეკიზაშვილი ამჯერად წარმოგიდგენთ მასალას, რომლის კითხვისას გულგრილი ვერ დარჩება მკითხველი. ღვთის მადლით, საფრანგეთში საქართველოს შესახებ სიყვარულით სავსე წერილები იწერება.

## კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო პიერ რიშარ-ღნაძე



სურათზე: (მარჯვნიდან მარცხნივ) ნანა ჯორჯაძე, ირაკლი კვირიკაძე, პიერ რიშარი, ნინო კირთაძე

„შეყვარებული მზარეულის ათას ერთი რეცეპტი" — ქართველი რეჟისორის ნანა ჯორჯაძის ფილმი: მთავარ როლში პიერ რიშარი. მაღალი ქერა მამაკაცი, თავზე თეთრი ჩაჩით, წინ აღუდგება წითელ საფრთხეს

აეროპორტის საბაჟოს მოხელეს თვალები უბრწყინავს: „თქვენ პიერ რიშარის ფილმის გადაღებაზე ჩამოხვედით?" ის, ღელავს, ლამისაა, ენა დაებას, „მთელი თბილისი თქვენს ფილმზე ლაპარაკობს".

საქმე ის არის, რომ თბილისელებისათვის პიერ რიშარი „მაღალი ქერა მამაკაცი" კი არ არის, არამედ „დიდი ძმაკაცი". აბა ერთი განახათ, კვირა დღეს ძველი ქალაქის ქუჩებში რომ სეირნობს! ამ უბანში ფილმის რამდენიმე სცენა გადაიღეს; პიერ რიშარი სწორედ ამიტომ გაუშინაურდა ამ ვიწრო ქუჩებს. მსახიობის დანახვაზე გამვლელები გაოცებას ვერ ფარავენ, თითქოს თვალებს არ უჯერებენ. მერე, როდესაც დარწმუნდებიან, რომ მათ წინაშე ცოცხალი რიშარია, სახეზე ისეთივე სიხარული გამოუკრთებათ, როგორც იმ საბაჟოს მოხუცს. „პიერრრ რრრრიშარ". ჩურჩულებენ მსახიობის თაყვანისმცემლები და ენის წვერზე ატრიალებენ „რ"-ს.

არავითარი ყიჟინა ან ისტერია, არც ადამიანთა აღტყინებული ტალღა. უბრალოდ ავტოგრაფებს სთხოვენ და პატარ-პატარა სამახსოვრო საჩუქრებს სთავაზობენ. ერთი მოხუცი, სახეზე დაბნეულობა რომ ეტყობა, რიშარს მორიდებით უახლოვდება და წითელლოყება ვაშლს აწვდის. ქუჩის კიდეში მოყუჩებული ჯიხურის პატრონი მსახიობს ხელებში პატარა ლიტოგრაფიას ჩრის, „გინდა თუ არა აიღეო". წამიც და ეზოს კარებთან, პატარა მაგიდასთან მიმსხდარ მამაკაცებს ბინებიდან ხემსი და ღვინო გამოაქვთ. თვალის დახამხამებაში იშლება სუფრა.

საქართველოში სუფრა და სადღეგრძელო ეროვნული სპორტია. ქართველები ყველაფრის და ყველას სადღეგრძელოს სვამენ: ეს ჩვენი ქალებიო, ეს ჩვენი მეგობრებიო, ეს კიდევ იმ ბავშვებისა იყოს, ვინც მომავალში დაიბადებაო...

პიერ რიშარს თავისი საიდუმლო ტექნიკა აქვს: იგი ჭიქას ბოლომდე არ ცლის, როგორც ამას ქართული სუფრის წესი ითხოვს; ერთ ყლუპს მოსვამს და იმავე ჭიქით, შემხვედრ სადღეგრძელოს ამბობს. თანამესუფრენი გულისყურით უსმენენ რიშარის მონოლოგს.

ისეთი სიჩუმე და გზნებაა, გეგონებათ, ტაძარში თავმოყრილი მრევლი მღვდლის ლოცვა-კურთხევას იღებსო.

რიშარიც დიდი კრძალვითა და მოწიწებით საუბრობს, მაგრამ გაოცებას მაინც ვერ მალავს. ვერ გაუგია, რით დაიმსახურა ესოდენი პატივი და სიყვარული.

„იცით, მართლაც არ ესმის, გვეუბნება მისი ქართველი პარტნიორი ქალი საფრანგეთში. პიერ რიშარს დიდ მსახიობად თვლიან. ჩვენც ძალიან გვიყვარს იგი. როცა საქართველოში ცხოვრება აგვერია და დარდმა და ვ[illegible]რია ხელი, რიშარის ფილმებს ვუყურებდით და ცოტაოდენ შვებას ვგრძნობდით. ეს ფილმები იმ თავისუფლების ხატად ვიგულვეთ, რომლებზეც ყოველი ჩვენთაგანი ოცნებობდა".

„ადვილი წარმოსადგენია, რას განვიცდიდი, როცა სცენარის მიხედვით რიშარისთვის სილა უნდა გამეწნა — აგრძელებს თემურ ქემხაძე, ფილმში რიშარის მეტოქეს რომ ანსახიერებს. სულ იმის ფიქრში ვიყავი, რიშარს ხელი როგორ შემოვარტყა-მეთქი. შემომხედავდა და ხელები ულონოდ მივარდებოდა. პიერი მიყვიროდა: „ჰო, მიდი, მლეწე! ვიცი, საავადმყოფოში ამოვყოფ თავს, მაგრამ, მაგას რას ვნაღვლობ, გადასარევი სცენა გამოვა". მე კი ვფიქრობდი: „ამას რომ ახლა ვგლიჯო, ფილმის გამოსვლის შემდეგ მთელი „საქართველო მტრად გადამეკიდება".

თბილისელები ინტერესით ადევნებენ თვალს ფილმის გადაღებას. თუ კი ქალაქის ქუჩებში ფილმს იღებენ, ესე იგი, ყოველივე მწყობში დგება, ცხოვრება გრძელდება. არა და რამდენი რამ განიცადეს ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ქართველებმა! ჯერ კიდევ გუშინ ისინი „საბჭოთა შვეიცარიაში" ცხოვრობდნენ. მდიდარი ქვეყანა, ცხოვრების ხალისი, ნოყიერი მიწა, უმშვენიერესი ქალები და უგემრიელესი სამზარეულო... მერე კი, სამოქალაქო ომი, ნგრევა და უიმედობა. ჰოდა, საქართველომაც თავი მოითოკა, თუმცა კი ძვირად უჯდება ამაყ და ურჩ ხალხს უცხო დიქტატის მორჩილება. ოფიციალურად, რა თქმა უნდა, საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. მაგრამ ბრძენმა ედუარდ შევარდნაძემ იგი იძულებით შეიყვანა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირში. რას იზამ, მოსკოვმა ასე ისურვა. „გინდ ასე, გინდ ისე", გვიმხელს ერთი თარჯიმანი, — რუსეთი მაინც არ მოგვეშვებოდა. მარტო ჩვენი ნავსადგურები რად ულირს?!"

გაზაფხულს თან იმედი მრჰყვა. ქ.თბილისის ბაზარში სურსათის სიუხვე და მრავალფეროვნება თვალს გიბრმავებს. რა გინდა, სულო და გულო: ფქვილი, ხილი, ბოსტნეული, ხორცი. ერთი ეს არის, რომ რაც სურს, იმას ვერ ყიდულობს აქ მოსული კაცი. ოჯახისთვის აუცილებელ სანოვაგეს თუ შეიძენს, სხვაზე ხელი არ მიუწვდება. უნივერსიტეტის პროფესორი ოთხ დოლარსაც არ იღებს თვეში; ამ ხელფასით თავი ძლივს გააქვს, ეს არის და ეს. წარმოიდგინეთ, როგორ გაუმართლა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატს, რომელიც რიშარის მძღოლად დაიქირავეს! ბედი თუ გინდა, ეს არის!

ფრანგები თანდათანობით შეეჩვივნენ გაჭირვებას. პირველ ხანებში დაფეთებული იცქირებოდნენ ირგვლივ: ცხოვრების ქართული ყაიდა თავგზას უბნევდა უცხოელებს. ახლა ყოველივეს იუმორით ხვდებიან. დილით, ბენზინით აყროლებულ, მოჯაყჯაყე ავტობუსში სხდებიან და წამსვე სიმღერას შემოსძახებენ. ეს სიმღერა თვითვე შეთხზეს და ზაფხულის „მლაიგერად" აქციეს. „შუქი არა, წყალი არა", — ომახიანად დასძახებენ და ტაშსააყოლებენ. მერე რა, რომ დილით წვერს ვერ იპარსავენ, პერანგის საყელოც ცოტაოდენ შელანძღული აქვთ. ეგ არაფერი, მთავარია კოლეგებს გუშინ საღამოს მოსმენილი ახალი ანეკდოტი აჯახონ... მოსაყოლი კი ბევრი აქვთ.

აი თუნდაც გუშინ, დღისით, მზისით, გადამღებ ჯგუფს მომღერალთა გუნდი ეწვია და „ფრანგი მეგობრების" საპატივცემულოდ სახელდახელო კონცერტი მოაწყო. ერთი მომცრო ტანის ბიჭი მონსერატ კაბალეს ხმაზე მღეროდა. ფრანგები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და მომღერლებს სულის მოთქმას არ აცლიდნენ.

„წარმოიდგინეთ, საფრანგეთში რომ შეწყვიტოს ვინმემ გადაღება და სამი საათი უსმინოს სიმღერებს! — გაოცებული ხელებს შლის გახალისებული პიერ რიშარი — ჩამოსვლისთანავე გამაოცა ქართველი ხალხის ნიჭმა და უნარმა. ხელოვანი ხალხი ხართ! რესტორანში შედიხარ და სუფრებიდან სიმღერა იფეთქებს. წამით შეყოვნდები, გაიოცებ, ნეტავ რა ამღერებთო, იკითხავ, — ვინ იცის, იქნებ ზედმეტი მოუვიდათ და ღვინომ თავისი ქნაო. არ დაიჯეროთ, ჭიქაც არ დაულევიათ და უკვე სიმღერას ამბობენ. თანაც, რას მღერიან!!! სხვათა შორის, კარგად შემთვრალნიც სასიამოვნო მოსასმენნი არიან! ქართველი მუდამ სიმღერის გუნებაზეა, მაშინ როცა ჩვენ, ფრანგებმა, ჯერ კარგად უნდა დავლიოთ და შეიძლება, ამის შემდეგ ამოვიდგათ ენა. თანაც საკითხავია, გამოგვდის თუ არა!"

ზოგჯერ არცთუ ისე სასიამოვნო ამბებიც ხდება თაფლის კასრს ერთი კოვზი კუპრი შეერევა. გადაღება შუადღისას დანიშნეს, მაგრამ ოთხ საათზე დაიწყეს, ისიც ისე რა, ზოზინით. რიშარი გაცოფებულია. დაგვიანების მიზეზს კი არვინ უხსნის. ქართველი რის ქართველია, თუკი სტუმარს საკუთარ გაჭირვებას გაუმხელს და ჩივილს მოყვება.

რას იზამ, საქართველოა!

პიერ მიურა

(„ტელერამა", 18-24 ნოემბერი, 1995 წელი)



კადრი ფილმიდან

# აღშფოთების ტალღა ყოფილ იმპერიაში

ირენ დე შიკოფი

(„ფიგარო", 22 მარტი, 1996)

## საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ითხოვს დსთ-ს ქვეყნების ხელმძღვანელთა საგანგებო შეკრებას

მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა, საქართველოს პრეზიდენტმა წინადადება წამოაყენა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრის თაობაზე, რათა განიხილონ სიტუაცია, რომელიც შეიქმნა რუსეთის სათათბიროს მიერ საბჭოთა კავშირის აღდგენის შესახებ მიღებული რეზოლუციის შემდეგ. კიევში უკრაინის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უორენ ქრისტოფერმა დუმას მიერ მიღებულ ტექსტს „უკიდურესად უპასუხისმგებლო" უწოდა. „უკრაინა და ექს-სსრკ-ს სხვა ხალხები დღეს დამოუკიდებელი და სუვერენულნი არიან — განაცხადა სახელმწიფო მდივანმა, — მათი სტატუსის შეცვლის ყოველივე ცალმხრივი მცდელობა უარყოფილ უნდა იქნეს მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ".

სომხეთში, პრეზიდენტი ლეონ ტერ-პეტროსიანი ჰგმობს „კომუნისტების მხრივ აშკარა რევანშის მცდელობას". მისი აზრით, ეს შექმნის „ფეთქებად სიტუაციას" არა მხოლოდ რუსეთში, არამედ დსთ-ს ყველა ქვეყანაში.

პრაღაში, სადაც გაიმართა აღმოსავლეთის ყოფილი ბლოკის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელსაც უორენ ქრისტოფერიც ესწრებოდა, ჩეხეთის დიპლომატიის მეთაურმა განაცხადა: „საქმე ერთობ რთულადაა — რუსეთის პოლიტიკური სპექტრის უმეტესი ნაწილი მეტწილად წარსულისკენ იცქირება".

აი, ასეთ აფორიაქებულ და დაძაბულ სიტუაციაში მოუწევს სტუმრობა რუსეთში ნატოს გენერალურ მდივანს ხავიერ სოლანას. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი აღიარებს, რომ დუმას გადაწყვეტილება, რომელსაც საფუძვლად დაედო კომუნისტური ფრაქციის ინიციატივა, რუსეთისთვის ზურგში ჩაცემული ხანჯალია. რა თვალით უნდა შეხედოს ამის შემდეგ რუსეთმა დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ქვეყნებს? რა უთხრან იმათ, ვინც ნატოსთან მიერთებას ესწრაფვის? როგორ დაარწმუნონ იმაში, რომ მოსკოვი სრულიადაც არ ემუქრება მათ.

ვლადიმერ ლუკინის განცხადებით „სსრკ-ს იურიდიული აღდგენა კოზირია ნატოსთან კავშირის მხარდამჭერთათვის". „კომუნისტებმა — აცხადებს დუმა-ს საგარეო კომისიის თავმჯდომარე, — მახეში გაგვაბეს". გაზეთ „კომერსანტის" მტკიცებით, დუმას რეზოლუცია გამოიწვევს კონფლიქტს, რომელთან შედარებით, ჩეჩნეთის ომი ბავშვურ გართობად შეიძლება მოგვეჩვენოს.

ასეთი შედეგით ერთობ კმაყოფილი გენადი ზიუგანოვი პირობას დებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში „დაარღვევს ყველა უკანონოდ ხელმოწერილ საერთაშორისო შეთანხმებას". მან მაგალითად მოიყვანა ესტონეთი, სადაც „ჩვენს თანამემამულეთ ეკრძალებათ მშობლიურ ენაზე ლაპარაკი და არც საკუთრების უფლება გააჩნიათ".

## კომუნისტური საფრთხე

რუსეთის პრესას ვერ გაურკვევია, რისკენაა მიმართული კომუნისტების ეს ნაბიჯი. ნუთუ კომუნისტებს სერიოზულად სჯერათ საკუთარი გეგმებისა? ან იქნებ ყოველივე ეს ბორის ელცინის გასალიზიანებლად არის მოგონილი? კომუნისტებს სურთ პრეზიდენტს „უკიდურესი ზომების" მიღებისკენ უბიძგონ, რათა მიზეზი ჰქონდეთ განაცხადონ, რომ ელცინს საპრეზიდენტო არჩევნების გადავადება დაუსახავს მიზნად. ზიუგანოვი „საგანგებო მდგომარეობის" უკვე წესად ქცეული თეზისით გვაშინებს, რომელსაც, მისი სიტყვებით, „კრემლის გადახურებული ტვინები" დიდი ხანია ამუშავებენ. ელცინი ამ გამოხდომას ბოროტი ღიმილით ეპასუხება: „ზიუგანოვს არაფერი ემუქრება, მას არ მოუწევს სამსახურში ჯავშნოსანი მანქანით მისვლა". ერთი რამ კი ყველა მიმომხილველისათვის ცხადია, საარჩევნო დიდი „ნადირობა" დაიწყო. აკრძალული ილეთები, „წელს ქვემოთ დარტყმა" პოლიტიკური ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენა ხდება. ასე გაგრძელდება ივნისამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.



წუთშესვენება - იუმორის გვერდი

# კურიოზები

იუმორის გვერდის დღევანდელი გამოშვების
ავტორია ელენე საყვარელიძე

## არაყანის ბომბი

**1961 წლის ივლის** — აგვისტოში ჩეხოსლოვაკია-უნგრეთს მივემგზავრებოდით. მატარებლის კუპეში სამნი ვართ: აკაკი ხორავა, მისი მეუღლე ნინა ალექსი-მესხიშვილი და მე.

დილის ექვს საათზე ჩვენი მატარებელი სასაზღვრო ქალაქ ჩოპიდან ჩეხეთის საზღვარზე გადავიდა და საბაჟოსთან გაჩერდა.

რიჟრაჟია. წკრიალა და მშვიდი დილაა, არ მეძინება. თავზე ზეწარი მაფარია და გარინდული ვარ, რათა ჩემს საპატიო მეზობლებს ძილი არ დავუფრთხო. ან რა დამაძინებს, ვიგონებ ჩვენს წარმოდგენას ჩეხეთის გაზეთ „რუდე პრავოს" რედაქტორის იულიუს ფუჩიკის ცხოვრებაზე. წარმოვიდგინე ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდები, რა ბედნიერებაა, ვფიქრობ, რომ ასე მშვიდია დღეს ქვეყანა, რომ აღარ ისმის სირენების შემზარავი წივილი, ტყვიების ზუზუნი და აფეთქება... ამის გაფიქრებაც ვერ დავასრულე, რომ იქაურობა საშინელი აფეთქების ხმამ შესძრა.

სროლაა, გავიფიქრე, შეშინებულები წამოვხტით მე და ქალბატონი ნინა, საწოლებზე შუშის ნამსხვრევები და თეთრი სითხე ესხა. რა მოხდა ნეტა? ოღონდ ახლა დავბრუნდე მშვიდობით და აღარასოდეს არ ვიფიქრებ საზღვარგარეთ წასვლას! ბატონმა აკაკიმ თავზე გადამისვა თავისი ძლიერი ტორი და დარცხვენილი ხმით მითხრა: „იჰ, შე-/აქ „მშიშარას" შემცვლელი უცენზურო სიტყვა იხმარა), რა მოგივიდა, ეს ხომ მე ვიყავი, ფანჯარა ღია მეგონა და არაყანის ქილა გადავისროლე"– თან გაგვაფრთხილა ხელები არ დაიჭრათო და შუშის ნამსხვრევებს დაუწყო თავმოყრა.

ძლივს გონს მოვედით და უცებ დანაშაულზე წაგვასწრეს. კუპეში მატარებლის გამცილებელი ჩეხი ქალი შემოვიდა. აკაკი რუსულად ებოდიშება, ის ვერაფერს იგებს და განვითარდა გაძლიერებული ჟესტიკულაცია. ბევრი უყურა იმ ქალმა აკაკის და თანდათან შეიცვალა სახის გამომეტყველება. ბედად, იმ ხანებში უჩვენებდნენ მხატვრულ ფილმს „ალბანეთის დიდ მეომარს სკანდერბეგს". ქალმა აშკარად შეიცნო სკანდერბეგი — აკაკი ხორავა და სულ სხვა ჰანგზე აჰიკჰიკდა, მართალია აზრი არ გვესმოდა, მაგრამ მისი აფუფუნებული თვალები და ყურებამდე გახსნილი ტუჩები მის კეთილგანწყობაზე მიგვანიშნებდა. იძულებული შევიქენით მთარგმნელი გვეხმო, აი, რა გადმოგვითარგმნა მან: „პატივცემულო პან არტისტო, ძალიან მეუხერხულება თქვენი დაჯარიმება, მაგრამ კანონი კანონია და სამწუხაროდ ფანჯარას ემჩნევა, რომ იგი შიგნიდანაა გატეხილი. ამისათვის მე გთხოვთ, დამავალოთ, ჩაბრძანდეთ ბაქანზე და გარედანაც ესროლოთ ფანჯარას ქვა, მე კი აქტს შევადგენ, რომ იგი გარედანაა გატეხილი და ყველაფერი ამით დამთავრდება:

ჩვენ ეტყობა ძალიან გაოცებულნი ვჩანდით და ქალმა ისევ დაგვამშვიდა

— ალბანეთის დიდ მეომარს ნიშანში სროლა არ გაუჭირდებაო და ტურფად გაუღიმა სკანდერბეგს.

დიდი უხერხული პაუზა ჩამოწვა... აკაკიმ ერთი გადმოგვხედა და ისეთი ხარხარი ატეხა, მატარებელი შეაზანზარა, სიცილისაგან ცრემლები ცვიოდა, შემდეგ როცა დამშვიდდა

— არც ალბანელ მეომარს და არც ქართველ მსახიობს არ ეკადრება ქვა დაუშინოს მშვიდობიან სახალხო მატარებელსო — უთხრა და ჯარიმა გადაიხადა.



ლ. კოდალაშვილის ნახატები

## მსგავსი გვარები

**ძალიან** ნაირფერი და გადატვირთული საგასტროლო ტურნეები გვქონდა 1977 წლის ზაფხულს: მესტია — დიუსელდორფი — მეხიკო — ზესტაფონი?

მესტიაში კონცერტი ჩავატარეთ და დიდად ვასიამოვნეთ იქაურებს. ჩვენი ჯგუფიდან მარტო კარლო საკანდელიძე მიდიოდა დიუსელდორფში, მან ჩაატარა თუ არა კონცერტი მესტიაში, უმალვე ქუთაისში წავიდა თბილისში გასაფრენად. სასტუმროს ადმინისტრატორთან მივიდა პასპორტის ასაღებად, იქ მომსახურე ქალი რუსი აღმოჩნდა (მესტიაშიც კი ბლომად არიან ისინი), იმ ქალს წაუკითხავს გვარის დასაწყისი „საკ..." და მოუცია თურმე ჩემი პასპორტი, რუსულად ჩემი გვარიც ხომ ასე იწყება, კარლომ არხეინად ჩაიდო ჯიბეში ჩემი პასპორტი და გზას გაუყვა ქუთაისისაკენ. აეროპორტში აჩვენა მოლარეს პასპორტი, ისიც რუსი ბრძანდებოდა, იქაც ბლომად არიან ჩემო ბატონო და ამ ქალს რომ დაუნახია შიგ ჩემი სურათი, სიცილით შეუხედავს კარლოსათვის, კარლოს კი ძალიან უყვარს, როცა ქალები და ისიც რუსის ქალები ულიმიან, გაპრანჭულა, მაგრამ რა გაპრანჭულა, ქალი უყურებს სურათს და, საბედნიეროდ, ვერ ნახა დიდი მსგავსება ჩვენს შორის, და ჩემი სურათი კარლოსკენ მიატრიალა... აუჰ, შეცბა ბიჭი, ხვალ დილით თბილისიდან უნდა გაფრინდეს გერმანიაში, ვინ გაუშვებს ქალის პასპორტით, რა უნდა ქნას? ცხადია მოიფიქრა და იქიდანვე დარეკა ტელეფონით მესტიაში — ბედად, სასტუმროს ადმინისტრატორი ქუთაისში მიდიოდა, კარლოს პასპორტი კი გადასცა, მაგრამ ჩემი პასპორტის გამოტანება აღარავის გახსენებია, ეს კია, რომ შემდეგ მოუფიქრებელია კარლოს და ჩემი პასპორტი თბილისში ჩემს სახლში მიუტანია.

ასეა, ბატონო, საქართველოში რომ არ მოილტვოდნენ რუსები, ასე არ აირ-დაირეოდა ყველაფერი. ერთი „საკ-ის" გულისთვის კაცი ქალის პასპორტით არ წავიდოდა, ქართულად კი „კ" და „ყ" სულ არ გვანან ერთმანეთს!



## ლეო ჭედიას ორი შეხვედრა გალაკტიონთან

**სოხუმის** ქართული თეატრის ბერმუხა ლეო ჭედია, საქართველოს სახალხო არტისტი, სანამ სათეატრო გზას გაჰყვებოდა, ლიტერატურით იყო გატაცებული, მეგობრობდა მრავალ საუკეთესო მწერალთან და პოეტთან და თვითონაც წერდა ლექსებს.

როცა ლეო ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლობდა, ქალაქის საზოგადოებამ შეხვედრა მოუწყო იმხანადვე აღიარებულ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს. შეხვედრას ლეო ჭედიაც ესწრებოდა. გალაკტიონის პოეზიამ მრავალი სურვილი აღუძრა ყმაწვილს. დიდი ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა ეახლოს პოეტს, ლექსები წაუკითხოს და თუ მოუწონებდა, თეატრზე ფიქრს მოეშვებოდა. მთელი ღამე გაათენა ამ შეხვედრაზე ფიქრით და მეორე დილით ადრიანად სასტუმრო „ფრანციაში" გაჩნდა, კარზე კი დააკაკუნა, მაგრამ ნებართვას არც კი დაელოდა, კარი შეაღო და იქვე კედელს აეკრა. პოეტი იწვა და საოცარი ის არის, რომ ლეოსთვის არც კი შეუხედავს, ისე წარმოსთქვა:

— დაიწყეთ! ლეო მოულოდნელობისაგან გაშრა, როგორ მიხვდა, რა უნდა?

— რა დავიწყო?

— ლექსი, ბიძიკო, ჩემთან მხოლოდ ამისთვის მოდიან, შენ უკვე დაგასწრო ერთმა. ლეომ გამბედაობა მოიკრიფა და რიხიანად გამოაცხადა ლექსის სათაური „წითელი პრინცესა". პოეტმა მხოლოდ ახლა შეიცვალა პოზა

— „წითელი პრინცესა?", რატომ მაინცადამაინც წითელი?

— თანამედროვეობას ვეხმიანები — უპასუხა ლეომ. ისევ პაუზა ჩამოწვა.

— პოეტმა ოდნავ გაიღიმა — ეხმიანე ბიძიკო, ეხმიანეო!

— მხოლოდ ვეხმიანო თუ ლექსებიც ვწერო? — აჩქარდა ლეო.

— წერე, ბიძიკო, წერე! სთქვა და ბუტბუტით გადაბრუნდა კედლისაკენ...

* * *

იმ შეხვედრას რომ ველარაფერი სახეირო შეატყო, ლეომ გადაწყვიტა თეატრს გაჰყოლოდა. წარუმატებელი არ ყოფილა მისი არც სამსახიობო და არც სარეჟისორო მოღვაწეობა. მაყურებელს უყვარდა მისი ნიჭიერად განსახიერებული ოტელო, ურიელი, კრეჩეტი, ტიბალტი, სულთანბეგი, ღურმიშხანი, ლიტერატურული მიდრეკილება კი საუკეთესო პიესების თარგმნას მოახმარა. შემდეგ თეატრის მთავარი რეჟისორიც გახდა.

სწორედ ამ დროს ლეო გეგმებითა და იმედებით სავსე სანაპიროსაკენ გაემართა. ზღვის პირას ორი ბებერი ევკალიპტის ქვეშ მერხზე საყელოშეხსნილი იჯდა გალაკტიონი. ზღვიდან მობერილი ნიავი თმებს უწეწავდა, იგი იდუმალი მზერით გაჰყურებდა შორეთს... ლეო მის გვერდით ჩამოჯდა, მიესალმა. მგოსანმა სალამზე უმალ უპასუხა და ისევ მიქცეულ ზღვას გააყოლა მზერა. ლეომ იფიქრა ხელს არ შევუშლიო და ის იყო უნდა წამომდგარიყო, პოეტი შემობრუნდა და ჰკითხა: კიდევ წერთ ლექსებსო?

ლეო დაიბნა. ქუთაისის სასტუმროში შეხვედრის შემდეგ ორმოცი წელი იყო გასული, ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე შეხვედრია პოეტს საზოგადოებაში და ისე ჩანდა, თითქოს მას აღარ ახსოვდა ეს ამბავი.

„არა... არ ვწერ... დაბნეულად უპასუხა ლეომ.

— ყოჩაღ!.. სწორად მოქცეულხარ! და ამით გამოავლინა მისდამი, როგორც პოეტისადმი, უკმარისობის გრძნობა. ლეომ ეს ითაკილა.

— მე ახლა არტისტი ვარ, სახალხო არტისტი, მთავარი რეჟისორი, მწერალიც, მთარგმნელიც...

— პოეზია უპირველეს ყოვლისა, არა? სწორია ბიძიკო, ხელოვნება პოეზიით იწყება და პოეზიით მთავრდება!

საჩქაროდ წამოდგა მერხიდან და დასამშვიდობებლად ხელი გაუწოდა სახტად დარჩენილ ლეოს.

მაინც რა მეხსიერება ჰქონია იმ დალოცვილს!

# ჰოროსკოპი

**ვერძი** ამ კვირაში დღესასწაულები ჯობია ბუნებაში გაატაროთ. მაისის მზე კიდევ უფრო მომხიბლავს გაგხდით. შეეცადეთ, არ იეჭვიანოთ ამ კვირაში. ამ კვირაში ვასკვლავები ძალას, ენერგიას, სტაბილურობას შეგმატებენ. სამუშაო რიტმი დატვირთული იქნება, მაგრამ ყველაფერი ერთიასად აგინაზღაურდებათ.

**კურო** ქალებო, ამ კვირაში თქვენ განსაკუთრებით ნაზი და ალერსიანი იქნებით, ვერავინ ვერ დაარღვევს თქვენს იდილიას ახლობლებთან. კვირის ბოლოს მოაწყვეთ რაიმე საზეიმო საღამო. კაცები ამ პერიოდში განწყობილი იქნებიან საოჯახო საქმისადმი. შეაკეთებენ დანგრეულ ღობეს, დარგავენ ხეს. არ შეეწინააღმდეგოთ თქვენ სურვილებს.

**ტყუპები** ცოტა არ იყოს, დაღლილობა დაგრევთ ხელს. გაიხსენეთ, რომ დიდი ხანია, გინდოდათ თეატრში წასვლა, წადით! დაუბრუნდით ძველ გეგმებს. გაითავისუფლეთ დრო სულიერი ზეიმისთვის. შეიძლება, ახალმა იდეებმა იჩინონ თავი. მოიცალეთ ამისთვის, კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი.

**კიბო** და აი, ისევ გაზაფხული, მინდორი, ყვავილები. ადრენალინი გიბიძგებთ ავანტიურისაკენ. თქვენი ახალი რჩეული შეიძლება ძალზე დადებითი პიროვნება აღმოჩნდეს. გაუფრთხილდით მას. მაგრამ თქვენი დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა. ნუ ეძებთ იდეალს მეტროსა და ტროლეიბუსში. მის პოვნაში მეგობრები დაგეხმარებიან.

**ლომი** მზის პლანეტა ამ პერიოდში შეგიქმნით ცოტაოდენ პრობლემებს მიზნის მიღწევის გზაზე. იქნებ ჯობდეს, შვებულებაში გახვიდეთ? აჯობებს, თუ ამ შვებულებას სადმე მარტო გაატარებთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობასაც და შეეცადეთ, მოუფრთხილდეთ ძველ პარტნიორს.

**ქალწული** თუ თქვენ ბიზნესით ხართ დაკავებული, ეს პერიოდი თქვენთვის ძალიან მომგებიანია. სამსახურებრივი მოვლენები ძალიან სწრაფი ტემპით განვითარდება. ეს წარმატებები გიბიძგებთ შემდგომი იდეების განხორციელებისაკენ და საწინააღმდეგო სქესის არსებასთან ურთიერთობისკენ.

**სასწორი** თუმცა ძალიან დაღლილი ხართ, არ აიღოთ შვებულება. ეს მოგვიანებით გამოგადგებათ. თავისუფალ დღეებში მოდუნდით და მოიკრიბეთ ძალები. წინ მძიმე სამუშაო კვირა გაქვთ, რომელიც აუცილებლად მოგიტანთ შესაბამის ანაზღაურებას.

**ღრიანკალი** პლუტონის პოზიცია გააძლიერებს თქვენს გავლენას გარშემომყოფებზე. თქვენ გელით თავისუფალი დროის თქვენს რჩეულთან ერთად გატარება. ცოტა მოითმინეთ მაგრამ არ აცერცეტდებით, კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი.

**მშვილდოსანი** იუპიტერი გაიძულებთ, დაუბრუნდეთ ძველ შეხედულებებს, ნაცნობებს. თქვენი სამსახურებრივი წარმატებები მოგიტანთ უფროსების კეთილგანწყობას, კოლეგების აღფრთოვანებას. დიდი ფულადი შემოსავლით გაახარებთ ოჯახის წევრებსაც.

**თხის რქა** კარგი დროა კოსმეტიკური საშუალებების გამოყენებისათვის. ერთბაშად რამოდენიმე მამაკაცი დაინტერესდება თქვენით. ეს გამოგადგებათ შემდგომში სამსახურებრივი საქმეების მოწესრიგებისათვის და ახლობლებიც გამოვლენ მძიმე კრიზისული მდგომარეობიდან.

**მერწყული** მაისი გაჩუქებთ სიხარულს და განახლებულ ინტერესებს. დამშვიდდებით და უფრო მეტი გულისყურით მოეკიდებით მეგობრების პრობლემებს. აქ გამოგადგებათ მოთმინება და საკუთარი ძალებისადმი რწმენა.

**თევზები** ეს კვირა არაოფიციალური საქმეებისთვის გამოგადგებათ. მაისი თქვენთვის გაფურჩქვნის თვეა. არ თქვათ უარი მიწვევაზე, ეს შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს თქვენი მომავალი ცხოვრებისთვის.

# მამათმავლებს ახალგაზრდა ქართველი იდეოლოგი გამოუჩნდათ!..

მეხუთე გვერდიდან

ქცია აქვს „შეუგინებელ" საწოლში...

მაგრამ ჩვენი თავის სატკივარი ამ ჩვენი კინოკრიტიკოსის კომენტარმა გამოიწვია. ზემოთმოხმობილ ციტატას მოსდევს გვახარიას შემდეგი დასკვნა. მშობლებსა და მათ მამათმავალ შვილს შორისო, — წერს კრიტიკოსი — „მოსალოდნელი ომი არ დაიწყება მხოლოდ იმიტომ, რომ განსხვავებული პრინციპებისა და ზნეობის მიმართ სრულიად საპირისპირო დამოკიდებულების ადამიანებიც კი შეძლებენ საერთო ენის გამონახვას, შეძლებენ დაძლიონ სიამაყე. აზრი იმარჯვებს გრძნობასა და ემოციებზე, ცივილიზებული ურთიერთობა — შუა საუკუნეების მორალზე, სინათლე — სიბნელეზე".

მოკლედ, მშობლები რომ აღშფოთებულიყვნენ, ბნელები იქნებოდნენ, რაკი „ბანჯგვლიანი სასიძო თუ სარძლო შეიყვარეს", ნათელი ადამიანები აღმოჩნდნენ... (ეს შეყვარება მაინც რა უბედურებაა!).

„შუა საუკუნეების მორალსა" და „სიბნელეში" აღზრდილ ქართველ მკითხველს ამ კომენტარის წაკითხვის შემდეგ, ცხადია, ეპატიება ბატონ გვახარიასადმი უცენზურო სიტყვები რომ წამოსცდეს. მაგრამ ჩვენი „სიბნელე" ჯერ იმით დავამტკიცეთ, რომ გვახარიას რეფორმატორულ აზრს ვერ ჩავწვდით, ვერაფრით გაგვიგია, რომ კაცი შეიძლება იყოს ქალი და რომ კაცისაგან ქალის ფუნქციის შესრულება და ამის ნორმალურ ამბად მიჩნევა ცივილიზაცია მიღწევაა...

ახლა ამ ჩვენს „სიბნელეს" უცენზურო სიტყვებითაც თუ დავამტკიცებთ, ცხადია, მართლაც „შუა საუკუნეების ბნელეთიდან მოსულებად" მოვინათლებით, ამიტომ ამ ჩვენს „რეფორმატორ" „იდეოლოგს" ცივილიზებულად შევნიშნავთ — არ არის ბატონო ეს ჩვენი საზოგადოება იმ დონეზე, თქვენ რომ ბრძანდებით და ეგ თქვენი იდეები სჯობია საჯაროდ კი არა, ისევ იმ ლოკალურ წრეში იქადაგოთ, სადაც „შუა საუკუნეების ბნელეთიდან" თავდაღწეული პრანჭია ქალიშვილები, უკაცრავად პასუხია, ქალიშვილებად ქცეული ვაჟიშვილები არიან...

მკითხველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალეიდოსკოპი

### გაიხადე, ექიმო!

ესპანეთის ქალაქ სეუტაში შეიმუშავეს ახალი კანონი, რომლის თანახმად ექიმი ვალდებულია გაიხადოს პაციენტთან ერთად. კანონმდებლები თვლიან, რომ მხოლოდ ასე შეიძლება დაიცვან ავადმყოფის უფლებები. როცა ყველა შიშველია, ნუდისტების პლაჟის მსგავსად, სიტუაცია ფსიქოლოგიურად კომფორტული ხდება.

საინტერესოა, რას გრძნობენ ამჟამად სეუტელი ექიმები, რომელთაც ასეთი მსხვერპლის გაღება უწევთ დიაგნოზის დასასმელად?

### თუ დაგმარხეს... დარეკე...

იტალიელი ჯუზეპე მილეტის ძალიან ეშინია ცოცხლად დამარხვის. ის თვლის, რომ ასეთი რამ ძალიან ხშირად ხდება: ადამიანი გონს მოდის, ხედავს, რომ ჩალურსმულ კუბოში წევს და კვდება „ხელმეორედ". თავიდან რომ აეცილებინა ასეთი საშინელება, ჯუზეპემ შეუკვეთა სპეციალური კუბო, რომელსაც ჩამონტაჟებული აქვს. სახურავი მილი, რომელიც მიწის ზედაპირამდე ამოდის, ნათურები, და აგრეთვე სიგნალიზაცია. ამ კუბოთი დასაფლავების შემთხვევაში „განსვენებულს" ისლა დარჩენია, ღილაკს დააჭიროს თითი.

### გასართობი წამება

კუნძულ პხუკეტის აბორიგენებმა დაასკვნეს, რომ რაც უფრო მეტ ტკივილს მიიღებს ადამიანი ამქვეყნად, მით უფრო კარგად იცხოვრებს საიქიოში. ამიტომ კუნძულელები იჩხვლეტენ სხეულს წვეტიანი ნივთებით, იხვევენ ბასრ მავთულხლართებს. უფრო მეტიც, ეჯიბრებიან ერთმანეთს ბარბაროსული მეთოდებით საკუთარი თავის წამებაში.

### 232 ათასი დოლარი... საუზმისათვის

ფრანგ ბარნი ვარის, რომელიც სასჯელს იხდიდა ციხეში, ჰყავდა მეგობარი — ლოკოკინა ხირილი, რომელიც ერთი წლის წინ იპოვნა ციხის ეზოში სეირნობისას და მას შემდეგ არ დაშორებია, სანამ ერთ-ერთმა მცველმა არ მოკლა ლოკოკინა და საუზმედ არ მიირთვა.

ძვირი დაუჯდა მცველს ეს საუზმე. რადგან საფრანგეთის კონსტიტუციის თანახმად ადამიანის უფლებების დარღვევისათვის 232 ათასი დოლარი ჯარიმა დაეკისრა.

ამის შემდეგ ეს მცველი ალბათ ამოიღებს ლოკოკინას თავისი მენიუდან.

### მდიდრად და ბედნიერად

არაჩვეულებრივი ქორწინებანი, როცა განსხვავება მეუღლეების ასაკში რამოდენიმე ათეული წელია, უკვე აღარავის აღარ აოცებს. მაგრამ ბრაზილიაში ამ რამდენიმე ხნის წინ ოფიციალურად რეგისტრირებულმა ქორწინებამ, სადაც ქმარი — ხოზე ფერეირა, 83 წლისაა, ხოლო ცოლი — იოლანტა ცამეტის... სენსაციური მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ხოზეს ორმოცამდე შვილიშვილი, შვილთაშვილი და შვილთაშვილიშვილი ჰყავს. მისი ნორჩი ცოლი კი ირწმუნება, რომ იგი ჭკუადაკარგულია თავისი ქმრის სიყვარულით, რომელიც ჭკვიანი, გამოცდილი და ნაზია. ისინი კი, ვინც ცდილობს, ამ ქორწინებას ანგარების საფუძველი მისცეს, ძალიან ცდებიან. თუმცა, ხოზე ძალიან მდიდარი კაცია, მაგრამ იოლანტაც არ არის ღარიბი და თქვენ წარმოიდგინეთ, მთელს ბრაზილიაში მათზე უფრო ბედნიერ წყვილს ვერ ნახავთ...

## კროსვორდი



**თარაზულად:**

5. მაზდეიზმის გამავრცელებელი ვახტანგ გორგასლის მცირეწლოვნების დროს; 6. ვაჭრობის ობიექტი; 9. ილიკო ჩიგოგიძის თანამდებობა; 10. ძვალი ნეკნების ზემოთ; 12. ისტორიული ციხე ირანში; 13. საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია; 14. საგანგებო დავალება; 17. არგენტინელი ფეხბურთელი; 19. ქალის წამოსასხამი; 21. მათემატიკური სიმბოლო; 24. შეძახილი, რომლითაც იესოს შეეგებნენ იერუსალიმელები; 28. ჩვენ, თქვენ... 33. რბილტანიანი ცხოველი; 34. მამაკაცის თესლის უნებლიე გამოყოფა ძილის დროს; 35. ხელსაწყო, ანუ... 36. მდინარე პრაღაში; 37. ბამბის მაფიის ერთ-ერთი ლიდერი; 38. ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე.

**შვეულად:**

1. შხადდება ცომისა და ხორცისაგან (ხოგგან — ცომისა და უცნობი ნარევისაგან); 2. საერისთაო აღმ. იმერეთში; 3. ქვის სატყორცნი მანქანა; 4. ათასი მილიონი; 7. დიდი ბრიტანეთის კელტებით დასახლებული მხარე; 8. ფუნთუშეულის ერთგვარი ნაწარმი; 9. გურამ აშოტის ძის მეტსახელი; 11. კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი; 14. ნახევრად კაცი, ნახევრად — ხარი; 15. ლოგიკური მსჯელობა, როცა ორი წანამძღვრიდან გამოდის დასკვნა; 16. მაღალი ხარისხის ქვანახშირი; 17. პოპულარული რუსული ანსამბლი; 18. სოლომონ ბრძენის ოქროს საბადო; 19. ჭეშმარიტების ადგილსამყოფელი; 20. შუმერთა ქალღმერთი; 22. ვისკონსინის შტატის უდიდესი ქალაქი; 23. ერთგვარი მწვანილი; 26. რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის გადაცემა; 27. თერძი; 29. პეტრე დიდის უფროსი და; 30. რომის იმპერატორი 96–98 წლებში; 31. გემი, რაკეტა; 32. აგდებული დამოკიდებულება ზნეობრივი ნორმებისადმი.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები:
მთავარი რედაქტორი – 93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი – 93-18-41